

საბა საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№11
ნოემბერი
2008

ომის შემდეგ
სინოდი რომში
მიხეილ სურმაგას ხელდასხმა
პაატა ქომოშვილი – დიაკონი
ინტერვიუ საფრანგეთის ელჩთან

რედაქციის გვერდი

ომის შემდეგ

2008 წლის 7-8 ოქტომბერს წეროვანში გამართული ჩვენი ადმინისტრაციის სამღვდლო პირთა შეხვედრაზე შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი „საქართველოს კარიტასის“ საქმიანობას, რომელიც კათოლიკე ეკლესიის საქველმოქმედო ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაცია წარადგინა „საქართველოს კარიტასის“ დირექტორმა მამა ვიტოლდ შულჩინსკიმ და, ამავე დროს, შეესაუბრა დევნილების პრობლემას ომის დაწყებიდან დღემდე. „საბას“ წინა ნომრებში ჩვენ შევეცადეთ ზოგიერთი ამ ინიციატივის აღწერა, მაგრამ აღწერილი სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდა იმასთან შედარებით, რაც 10 აგვისტოს კვირადღიდან მოყოლებული, ანუ ამ ინიციატივის დაწყებიდან, კეთდება. იგივე ითქმის რელიგიური ორდენებზეც (კამილიელები და სხვები), სამრევლოს მოხალისეთა ჯგუფებზე, ქუთაისის INER-ის ცენტრზე (საოჯახო სამწყსო ცენტრი), წმიდა ეფიდიოს საკრებულოზე. კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში და წმიდა საყდრის სადესპანომ კიდევ ერთხელ გამოხატეს თავისი სიყვარული ამ ქვეყნის მიმართ ერთადერთი მიზნით – მსახურება გაუწიონ უპოვრებს, ქვრივ-ობლებს, უმწეოებს, დაუცველებს და, ამასთანავე, ახსოვდეთ უფლის სიტყვები: უცხო ვიყავი... მშვიოდა, შიშველი ვიყავი... სნეული... და მომაკითხეთ... (შდრ. მთ. 25); მაგრამ კიდევ რამდენი კათოლიკე ორგანიზაცია, სხვა ქვეყნების „კარიტასი“ (იტალია, პოლონეთი...), უბრალო მორწმუნეები, ოჯახები, რელიგიური საკრებულოები ჩადგნენ ამ მოძრაობის რიგებში და კონკრეტულად უწევდნენ დახმარებას ამ გაუსაძლის პირობებს, რაც ომმა შექმნა... და კიდევ ერთხელ გაიცა მთელი ეს დახმარება სრულიად განურჩევლად, ისე რომ, სახეც კი არ უნახავთ, თუ ვინ იღებდა: ქართველი თუ რუსი, კათოლიკე თუ მართლმადიდებელი; აქვე აღსანიშნავია რომის პაპის ორჯერადი ჩართვა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით; უცნაურიც კი იყო, რომ „ფრანგების“ (როგორც ხშირად უწოდებენ საქართველოში კათოლიკეებს, ზოგჯერ ირონიულადაც) პრეზიდენტმა ევროკავშირის სახელით საერთაშორისო მობილიზაციაში კონფლიქტის ორივე მხარეს შორის შუამავლის როლი იკისრა.

შაბათს, 4 ოქტომბერს, ახალი მღვდლის, მიშა სურმაგას ხელდასხმიდან უკან დაბრუნებულებმა გორს ჩავუარეთ და იტალიის წითელი ჯვრის წევრებს შევხვდით, რომლებიც კონფლიქტის დაწყებიდან დღეში 5000-მდე ცხელ უღუფას არიგებენ *ტენდაპოლისში* – კარვების ქალაქში, მთელი დიდსულოვნებით და მსახურებით. ეს იყო ლამაზი შეხვედრა, არა იმიტომ, რომ ჩემს თანამემამულეებს

შეგხვდით, პირველ რიგში, იმით, რომ ეს იყო ცოცხალი მოწმობა, რომელიც ამ ადამიანთა გაღიშებულ და მშვიდ სახეებზე აღიქმებოდა...

აქვე მომიყვანენ ბათუმის „პაპ იოანე XXIII-ის ასოციაციის“ წარმომადგენელთა ვიზიტზე ოსეთსა და აფხაზეთში და თუ როგორი მაღლიერები დარჩნენ ცხინვალის მართლმადიდებელი ეპისკოპოსის სტუმართმოყვარეობით და როგორ მოინუსხნენ იმ კათოლიკე მღვდლით, რომელიც სოხუმის გაჭირვებულ ხალხს შორის ღარიბულად ცხოვრობს...

ეს მხოლოდ მცირედი გაელვებაა სიქველეთა იმ უამრავ მაგალითთან ერთად, რასაც უპოვართა მსახურებაში ასრულებს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური თუ არარელიგიური, რომლებიც დიდ მაღლიერებას და პატივისცემას იმსახურებენ ამისათვის.

ერთიც არის, დაეხმარება კი ყოველივე ეს იმას, რომ დასავლეთზე იფიქრონ უკვე არა როგორც „სატანის მიწაზე“, არამედ იმ მიწაზე, სადაც ადამიანებს კონკრეტულად აინტერესებთ კავკასიაში ხალხთა მდგომარეობა? აქ ზოგიერთ ინტერნეტ-საიტზე ჯერაც საუბრობენ დასავლეთის უკიდურეს გულცივობაზე, მაგრამ სწორედ დასავლეთის წყალობით არ ჩავარდა საქართველო უფრო უარეს პირობებში. მოაწესრიგებს კი მთელი ეს საქმიანობა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კავშირებს კათოლიკე ეკლესიასთან, განსაკუთრებით ამ ქვეყანაში, სადაც ყველაფერს აკეთებენ, რომ ბნელში დატოვონ კათოლიკური ეკლესიის საქმიანობა? ამ საქმიანობის ფონზე მიიღებს კი უფრო მეტ ყურადღებას კათოლიკე ეკლესია ხელისუფლების მხრიდან, დღეს რომ ყოველნაირად ცდილობს მის იგნორირებას?

დასავლეთში მავანმა საქართველოს ომს „უცნაური ომი“ უწოდა; არ გამიკვირდება თუ ვინმე “ომის შემდეგ უცნაურობაზეც” დაწერდა, რამდენადაც ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ სჭირდება დევნილებისათვის განკუთვნილ ჰუმანიტარული დახმარებით სავსე კონტეინერის განბაჟებას (იმის მიუხედავად, რომ დღეს უფრო დაჩქარებულ პრაქტიკაზე საუბრობენ) დღეები?

გამარჯვებაზე საუბარი ცოტა უადგილოც კია, როდესაც შენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ სახლში ვერ ბრუნდებიან, არ იციან, რა ელით მომავალში... მართალია, დევნილებისთვის დროის უსწრაფესად შენდება სახლები, და, ალბათ, ასეც უნდა იყოს, რადგანაც ზამთარი გვიახლოვდება, დრო კი გადის... მაგრამ ამ სახლების გვერდით უამრავი მანქანა ჩაიქროლებს, რომელთაც ხშირად გაბედული ახალგაზრდები მართავენ, მზად რომ არიან ყოველი ეკლესიის დანახვაზე პირჯვარი გამოისახონ... და თითქოს ეს ყველაფერი მათ არ ეხებოდეთ...

ერთი შეხედვით არ იგრძნობა ის გადაუდებელი საჭიროება, რომ, პირველ რიგში, თავად ამ ქვეყნის მოქალაქეთა შორის დამყარდეს კავშირები, არა მხოლოდ სადღეგრძელოებით და ლიტონი სიტყვებით, ფარისევლურად რომ ასხამენ ხოტბას ქართველობას, ენას, სამშობლოს, რელიგიას და ღვინოს ბურუსში რომ აორთქლდებიან, არამედ გულწრფელობით, სამართლიანობით, პატიოსნებით, ასევე სხვა ქვეყნის, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის, ნებისმიერი მოქალაქის მიმართ პატივისცემით და მაღლიერებით.

რა გეზს ირჩევს ქვეყანა, რა გზას დაადგება ნამდვილი მშვიდობისათვის, რა ჭეშმარიტებას გააცხადებს, ცხოვრების რა მოდელს შესთავაზებს ხალხს, როგორ პატივისცემას გამოიჩენს ყველა რელიგიისა და ეკლესიის მისამართით, – ეს ყველაფერი ჯერ კიდევ უცნობია, ვიდრე არიან „სახეიმოდ მოქეიფე“ ადამიანები, როგორც ლუკას იგავში იქცევა მდიდარი (16), ხოლო საცოდავი ლაზარე კვდება და იტანჯება, არა შორეულ ქვეყანაში და არა რუსის ჯარის მიზეზით, არამედ მათი გულცივობით, რომლებიც ვერასოდეს ძლებიან იმით, რაც საკუთარი თანამემულებების და თანამორწმუნეების ძარცვა-გლეჯით დააგროვეს; რაზე მეტყველებს რესტორნების, ბინების... და ეკლესიების გაცხარებული

მშენებლობა? ვისთვის აშენებენ? ცხადია არა მათთვის, ვინც მხოლოდ პენსიით ან ამ დღეების ჰუმანიტარული დახმარებით უნდა იცხოვროს.

დღეს ბევრს საუბრობენ ტერიტორიულ, ეროვნულ, რელიგიურ ინტეგრაციაზე, მაგრამ რა შეიძლება ითქვას იმ ხალხზე, ასე უწყვეტ ნაკადად რომ ემიგრირებენ ქვეყნიდან, ყველასთვის დიდი რისკის ფასად, დამრჩენის თუ წამსვლელის: რამდენი ოჯახი დაინგრა სწორედ სამუშაოს ძებნის გამო ამ დაუსრულებელი გასვლებით?

ეს არის „ომი“, რომელიც უფრო მეტ მსხვერპლს, უფრო მეტ უპოვარს იმკის, ვიდრე რვა აგვისტოს ომი და ეს არის ომი ძვირი ცხოვრების, სამუშაო ადგილის ძებნის, ყოველდღიური წნეხიდან თვითგადარჩენის, უცხოეთს შეფარებული და არა საკუთარ ოჯახში მყოფი მეუღლის, იმ ახალგაზრდის, რომელიც ფიქრობს, რომ იოლად ნაშოვნია ფულით იცხოვრებს, ეულად მიტოვებული მოხუცის, რელიგიის, რომელიც უკვე ფანატიზმად, რიტუალიზმად თუ ეროვნულ იდენტურობად ქცეულა.

რაოდენ სევდისმომგვრელი და უმწიფარია თეორია დაპირისპირებაზე, ახალ ბლოკებზე, ხელახალ შეიარაღებებზე, რაც მესამე მსოფლიო ომის საშიშროებას ქმნის! ტოლსტოის სიტყვებს გავიხსენებ „ომი და მშვიდობიდან“, როდესაც ამბობს, რომ აღარ შეიძლება ფიქრი „ომობანას თამაშზე“, ახლა დგას ჟამი, რათა ყველანი მთელი ძალით შევედგეთ მშვიდობის, სამართლიანობისა და შემწყნარებლობის მოვალეობის აღსრულებას.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

წმიდა პავლეს წელი

მამა პიერ დიუმულენი

პავლეს მეორე მოგზაურობა

სული წმიდით შთაგონებულნი

გზა ტარსუსიდან დერბემდე მთებშია შეჭრილი და კილიკიის კარიბჭის გავლით ლუსტრასკენ მიემართება. იქ პავლე „იუდეველი მორწმუნე დედაკაცისა და ბერძენი მამის“ ვაჟიშვილს, ტიმოთეს, ხვდება, რომელიც მისიონერულ ჯგუფს უერთდება. ტიმოთე ერთგულთა შორის ყველაზე ერთგული გახდება, ხოლო პავლე მამობას გაუწევს მას. როგორც ლუკა მახარებელი გვაუწყებს, მოგზაურობაში ჭეშმარიტად სული წმიდა უძღვებათ წინ:

„გაიარეს მათ ფრიგია და გალატელთა ქვეყანა, და სული წმიდისაგან აკრძალული ჰქონდათ სიტყვის ქადაგება აზიაში. მივიდნენ მისიამდე და აპირებდნენ ბითვინიაში გამგზავრებას, მაგრამ იესოს სულმა არ გაუშვა ისინი“ (საქმე. 16, 6-7).

უცნაური მოგზაურობაა... გავიხსენოთ რას მოგვითხრობს წერილში გალატელთა მიმართ თავად პავლე: „ეს იცით, რომ ხორცის უძღურებით გახარეთ თქვენ პირველად. თქვენ კი არ შეიძულეთ და არც უგულუბელყავით ჩემი განსაცდელი ხორციელად, არამედ მიმიღეთ, როგორც ღვთის ანგელოზი, როგორც ქრისტე იესო“ (გალ. 4, 13-14).

კეთილგანწყობითა და სტუმართმოყვარეობით გალატელებმა პავლეს გული ადვილად მოინადირეს, მოციქული კი შვილებად მოიხსენიებს მათ (შდრ. გალ. 4, 19). გალატელების წარმომავლობა გალიას უკავშირდება. ისინი - კელტების შთამომავალნი - არც ბერძნები, არც ბარბაროსები არიან. მათი ცივილიზაცია ჭეშმარიტ სულიერ ცოდნაზეა დაფუძნებული და ხელს უწყობს ქრისტიანული უწყების მიღებას.

გალატიის დატოვების შემდეგ სულიწმიდით შთაგონებული პავლე ტროაში ჩადის.

„ღამით პავლეს ჩვენება ჰქონდა: წარუდგა ვიღაც მაკედონელი კაცი, ევედრებოდა და ამბობდა: „მოდი მაკედონიაში და დაგვეხმარე“ (საქმე. 16, 9).

პავლე უმაღლეს იღებს გადაწყვეტილებას და საბერძნეთისკენ მიემართება. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს მცირე ჯგუფს ლუკა შემოუერთდა. თხრობა მოულოდნელად მრავლობითი რიცხვის პირველ პირში გადადის: „... მაშინვე ვცადეთ მაკედონიაში გამგზავრება. ვფიქრობდით, რომ ღმერთმა მოგვიწოდა, გვეხარებინა მათთვის“ (საქმე. 16, 10).

მისიონერები ლათინურ ქალაქ ფილიპეში ჩადიან. შაბათ დღეს, მდინარის პირას, ტირიფების ჩრდილში, მომაჯადოვებელი ბუნების წიაღში პავლე და მისი მეგობრები ლოცვისთვის შეკრებილ დედაკაცებს ესაუბრებიან. მათ შორის ვინმე ლიდია იმყოფება, რომელსაც „უფალმა გაუხსნა გული პავლეს ნალაპარაკების მოსასმენად“ (საქმე. 16, 14).

მიუხედავად იმისა, რომ ლიდია წარმოშობით მცირე აზიის ქალაქ თიატირადან არის, ევროპის ტერიტორიაზე იგი პირველი ქალია, რომელიც პავლემ ქრისტიანობას აზიარა. შემთხვევითი როდია, რომ ქსოვილებით მოვაჭრე კილიკიელმა პავლემ, „მოწეულით მოვაჭრე“ მოაქცია (საქმე. 16, 14). თავისი მოგზაურობების დროს პავლე თავშესაფარს ყოველთვის ფეიქართა „კორპორაციებში“ პოულობს. „ამქვეყნიური“ კავშირები და ადამიანური ურთიერთობები ეხმარება მას იქადაგოს ცათა სასუფეველი. პავლეს თავის მეგობრებთან ერთად ლიდია სახლში იწვევს და მის ოჯახში ქრისტიანული საკრებულოს ბირთვი ყალიბდება. საკრებულო სწრაფად ვითარდება და ფართოვდება. მათ პირველად ქალები - ევოღია და სვინტიქე - უერთდებიან, შემდგომში კი კლემენტოსი (სავარაუდოდ რომის მომავალი ეპისკოპოსი, პეტრეს მესამე მემკვიდრე) და ეპაფროდიტოსი, რომელიც შემდგომ ეკლესიის ერთ-ერთი „წარგზავნილი“ გახდება.

თითქოსდა ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ერთ დღეს „... მხევალი, რომელსაც პითონის სული ჰქონდა და თავისი მისწრაფებით დიდძალ მოგებას აძლევდა თავის ბატონებს“ (საქმე. 16, 16), პავლესა და მის მეგობრებს აედევნა, „ყვიროდა და ამბობდა: ეს კაცები უზენაესი ღვთის მონები არიან, რომლებიც გაუწყებენ თქვენი ხსნის გზებს“ (საქმე. 16, 17). პავლე თავს იკავებდა, ხოლო სამი დღის შემდეგ იესოს სახელით განდევნა მისგან ბოროტი სული. მაგრამ მხევლის ბატონებს შემოსავლის წყარო შეუწყდათ, რის გამოც პავლე და სილა პროზელიტიზმში დაადანაშაულეს და მათი შეპყრობის ბრძანება გასცეს: იუდეველები არ არიან უფლებამოსილნი რომაელების რელიგიას შეეხონ. პავლე და სილა გამოლტეს, ქვები დაუშინეს, ხოლო ზედამხედველმა „შეყარა ისინი შიდა საპყრობილეში და ფეხებზე ხუნდები დაადო“ (საქმე. 16, 24).

მისიონერთა გულებში კი მშვიდობა სუფევს, ისინი ღმერთს უგალობენ. პატიმრები გულისყურით უსმენენ ამ გალობას. შუალამისას, უცერად, ქალაქი საშინელმა მიწისძვრამ შესძრა. საპყრობილეს კარები იღება და პატიმრებს ბორკილები „სცვივათ“. შეშინებული ზედამხედველი თავის მოკვლას აპირებს, მაგრამ პავლე ანუგეშებს მას: არავინ გაქცეულა, ყველა პატიმარი ადგილზეა, ლოცულობენ და პავლეს ემორჩილებიან. ათრთოლებული ზედამხედველი პავლესა და სილას ეკითხება: „ბატონებო, რა ვქნა, რომ გადავრჩე?“ (საქმე. 16, 30). ეს ღამე კატეხიზაციით, ნათლობითა და საზეიმო ვახშმით მთავრდება.

გამთენიისას მთავრები თავიანთ მსახურებს აგზავნიან პავლეს გასათავისუფლებლად. მაშინ პავლე საიდუმლო „იარაღს“ ამხელს: თურმე შეპყრობილია რომის მოქალაქე, მას საჯაროდ შეურაცხყოფა მიაყენეს და ახლა ფარულად, ბოდიშის მოუხდელად, გაშვება გადაწყვიტეს? პავლე უარს ამბობს, დროა კანონის დარღვევისთვის მთავრებმა იგემონ შიში. „და მოვიდნენ, მოუბოდიშეს და სთხოვეს ქალაქს გასცლოდნენ“ (საქმე. 16, 39).

ხსნის გზა გრძელდება და ამჟამად თესალონიკეზე გადის. პავლეს ამ ქალაქში ნათესავი ჰყავს - ვინმე იასონი. მოციქული სინაგოგაში ქადაგებს, ამტკიცებს, „რომ ქრისტე უნდა დატანჯულიყო და მკვდრეთით აღმდგარიყო, და რომ ეს ქრისტე იესოა, რომელსაც მე გახარებთ თქვენ“ (საქმე. 17, 3). მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ახალი ეკლესია იზადება, შურით სავსე იუდეველები ქალაქის მთავრებთან ჩივიან: „მსოფლიოს ამრევებმა აქაც მოაღწიეს... ეურჩებიან კეისრის ბრძანებებს და სხვას ამბობენ მეფედ, იესოს“ (საქმე. 17, 6-7). იასონი სათავდებოს იხდის, ხოლო პავლესა და სილას დაუყოვნებლივ ბერეაში უშვებენ, სადაც მათ მასპინძლობს პავლეს ნათესავი, სახელად სოსიპატროსი (იხ. რომ. 16,21). ბერეაში „მთელი გულმოდგინებით მიიღეს სიტყვა“ (საქმე. 17, 11). შეიტყვეს რა პავლეს ქადაგების შესახებ, თესალონიკელი მტრები „იქაც მოვიდნენ“ (საქმე. 17, 13). პავლე ათენისკენ მიემართება, ხოლო სილა და ტიმოთე ბერეაში რჩებიან, რათა ახალჩამოყალიბებულ საკრებულოზე იზრუნონ.

საბერძნეთი, ათენიდან კორინთომდე

ათენი... პავლე არაფერს გვიაშობს ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ათენში პავლეს მისიამ აშკარა მარცხი განიცადა. მაგრამ წარუმატებლობამ თავისი ნაყოფი გამოიღო - ეკლესიამ უდიდესი გამოცდილება შეიძინა. ათენი - ხელოვნების, ლიტერატურისა და ფილოსოფიის ქალაქი, ხმელთაშუა ზღვისპირეთის კულტურის კერაა. პავლე დატყვევებულია ყოველივე იმით, რაც მან იხილა... იგი ქუჩებში დადის, ეკამათება ეპიკურელ და სტოელ ფილოსოფოსებს. ზოგი მას ფუჭ „მოლაყბედ“ თვლის, ზოგი კი უცხო ღმერთების მქადაგებლად „...რაკი იესოს და აღდგომას ახარებდა მათ“ (საქმე. 17, 18). პავლე მიჰყავთ არეოპაგში, იგი სიტყვით გამოდის შეკრებილთა წინაშე. „ყველა ათენელს და იქ მცხოვრებ უცხოელს ისე არაფერი ეხალისებოდათ, როგორც რაიმე ახლის ლაპარაკი ან მოსმენა“ (საქმე. 17, 21). პავლეს ქადაგება ბრწყინვალეა და სავსებით შეესატყვისება ბერძნული რიტორიკის წესებს: „ვინაიდან მასში ვცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ... ჩვენ მისი მოდგმა ვართ... მაგრამ ღმერთმა დაუშვა უმეცრების დროება და ახლა აუწყებს ადამიანებს, ყველას ყველგან, რომ მოინანიონ. ვინაიდან მან დაადგინა დღე, როდესაც მსოფლიოს განიკითხავს სამართლით წინასწარ არჩეული კაცის ხელით, ყველას მისცა რწმენა, როცა იგი მკვდრეთით აღადგინა“ (საქმე. 17, 28-31).

აღდგომის იდეა უცხოა ბერძენთა ცნობიერებისათვის. პავლეს დასცინიან: „ხოლო მკვდართა აღდგომაზე რომ მოისმინეს, ერთნი დასცინოდნენ, სხვები კი ამბობდნენ: ამის თაობაზე კვლავაც მოგისმენთო“ (საქმე. 17, 32). მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მიემხრო პავლეს, მათ შორის დიონისიოს არეოპაგელი და ქალი, სახელად დამარისი. სასტიკი მარცხი პავლესთვის ჭეშმარიტების წვდომის საფუძველი ხდება: „რადგან სწერია: „ბრძენთა სიბრძნეს მოვსპობ და გონიერთა გონიერებას არად ჩავაგდებ.“ სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის ამ საუკუნის

მოკამათე? განა სისულელედ არ აქცია ღმერთმა სიბრძნე ამ სოფლისა? ვინაიდან, რაკი ღვთაებრივ სიბრძნეში ვერ იცნო ღმერთი სოფელმა თავისი სიბრძნით, ღვთისთვის სათნო იყო მორწმუნეთა ხსნა ქადაგების უგუნურებით. რადგან იუდეველნი მოითხოვენ სასწაულებს და ბერძნები სიბრძნეს ეძებენ, ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს და ბერძენთათვის - უგუნურებას, ხოლო მოწოდებულთათვის - იუდეველებისთვისაც და ბერძნებისთვისაც - ვქადაგებთ ქრისტეს - ღვთის ძალას და ღვთის სიბრძნეს. რადგან უგუნურება ღვთისა ადამიანებზე უბრძენესია და უძლურება ღვთისა - ადამიანებზე უძლიერესი” (1 კორ. 1, 19-25).

ათენის შემდეგ პავლე კორინთოში ჩადის. განცდილმა ძალზე ღრმა კვალი დატოვა მის გონებასა და გულში. ეპისტოლეს პირველივე სიტყვები მოწმობს ამაზე: „და მეც მოვედი თქვენთან, ძმებო, მოვედი ღვთის მოწმობის საუწყებლად, არა ამაღლებული სიტყვით ან სიბრძნით, რადგან გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულისა. და ვიყავი თქვენთან უძლურებაში, შიშში და დიდ ძრწოლაში. და ჩემი სიტყვა და ქადაგება ჩემი სიბრძნის დამარწმუნებელი სიტყვებით კი არ იყო, არამედ სულისა და ძალის გამოცხადებით. რათა თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ ღვთის ძალით” (1კორ. 2, 1-5). უფალი პავლეს კორინთოში ელის (და არა ათენში). უფალი უშვებს წარუმატებლობასა და მარცხს, რათა სათნოებისა და მორჩილების მარცვალი დათესოს ჩვენში და მის მიერ განწმედილი გულები, მისი და მხოლოდ მისი ნათელით აღივსონ და გაბრწყინდნენ.

ბალკანეთის ნახევარკუნძულს პელოპონესთან ექვსკილომეტრიანი სიგანის ზოლი აკავშირებს. სწორედ აქ მდებარეობს აქაიას დედაქალაქი კორინთო - მნიშვნელოვანი სავაჭრო და სტრატეგიული ცენტრი. კენჭრეს პორტში სარონიის ყურეს მხრიდან შემოსულ გემებს სპეციალურ ეტლებზე დგამენ და ქვაფენილი გზით (დიოლკოსით) გადააქვთ, ან ტვირთისგან ცლიან და დიდი მორებით ”მიაგორებენ” პატრასის ყურესთან. ამგვარად, მეზღვაურები თავს არიდებენ სახიფათო შემოვლით გზას, რომელიც გარს უვლის პელოპონესის ნახევარკუნძულს. ზედა კორინთო - მიუვალი ციხე-სიმაგრეა, „საბერძნეთის ურდული” და უძველეს ქალაქს ზემოდან დაჰყურებს. აქ მრავალი სალოცავი და ტაძარია მიმოფანტული. ციხე-სიმაგრის მისადგომებთან ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი, ძირითადად მონები ცხოვრობენ. უნდა ითქვას, რომ კორინთო ცდუნებებით სავსე ქალაქია, სადაც ახალგაზრდა გამოუცდელ ადამიანს შეიძლება გზა-კვალი აებნეს. აფროდიტეს ტაძარში წარმართთა კულტით პროსტიტუციაც კი დაშვებულია. გულმხურვალე მისიონერისთვის ამ გარემოსთან შეგუება ადვილი როდია. მაგრამ ღმერთი მუდამ ზრუნავს თავის შვილებზე.

კორინთოში პავლე ხვდება იუდეველ აკვილას და მის ცოლს პრისკილას. ეს შეხვედრა ღმრთის სიყვარულის გამოვლინებაა. წყვილი კარვების დამზადებითაა დაკავებული. პავლე რჩება ამ ოჯახში და ეხმარება მათ - ისინი ხომ ერთი ხელობის არიან. მოგვიანებით აკვილა და პრისკილა მისი მოწაფეები, შემდგომში კი გულითადი მეგობრები გახდებიან და პავლესთან ერთად მცირე აზიაში გაემგზავრებიან. მოციქული თავის წერილებში ხშირად მოიხსენიებს მათ. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ კორინთოში ტიმოთე და სილა ჩამოდიან. მეგობრებს ფილიპეს საკრებულოდან დახმარება ჩამოაქვთ. მათი ჩამოსვლაც ღმრთის განგების ნიშანია. პავლეს გაცილებით მეტი დრო რჩება და მოციქული მთელი თავისი არსებით ქადაგებას მიეცემა. სწორედ ამ პერიოდში იგი წერს ორ ეპისტოლეს

თესალონიკელთა მიმართ. უდიდესი სიხარული მოიცავს პავლეს, როცა უფალი მოევლინება მას და ეტყვის: „ნუ შეგეშინდება, არამედ ილაპარაკე და ნუ დადუმდები. ვინაიდან მე ვარ შენთან და ვერავინ გავნებს, რადგან ბევრი ხალხი მყავს ამ ქალაქში“ (საქმე. 18, 9-10).

მაგრამ იუდეველთა საკრებულომ განდევნა პავლე. გულნატკენი, იგი „ღვთისმოშიშ“ იუსტუსთან მიდის. მათ უერთდება კრისპოსი, „სინაგოგის მთავარი“, რომელიც ოჯახთან ერთად მოიქცა. პავლე წარმართებთანაც ქადაგებს იესოს. მოქცეულთა რიცხვი თანდათანობით მატულობს: „მრავალმა კორინთოელთაგან , როცა მოისმინა, ირწმუნა და მოინათლა“ (საქმე. 18, 8). საკრებულო ეთნიკური და სოციალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ქალაქის მეგანძური ერასტოსი, მდიდარი ვაჭრები აკვილა და პრისკილა, გაიოსი - მამულის მფლობელი, კრისპოსი - სინაგოგის ყოფილი მთავარი, ხლოე, რომლის მრავალი მსახური და მონებიც კი ქრისტიანები არიან. ამ ეკლესიაში „...ბევრი არ არის ხორციელად ბრძენი, ბევრი არ არის ძლიერი და ბევრი არ არის წარჩინებული. არამედ სოფლის უმცარნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენნი, და სოფლის უძლურნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი. მდაბიონი ამოარჩია ღმერთმა და დამცირებულნი, და არარსებული, რათა გააუქმოს არსებული, რომ არც ერთი ხორციელი არ იქადოდეს ღვთის წინაშე“ (1 კორ. 1, 26-29).

დროთა განმავლობაში მრავალი პრობლემა იჩენს თავს, განხეთქილება და უთანხმოება გარდაუვალია, მაგრამ მოციქული ყოველთვის გვახსენებს: „ვინაიდან ყველანი ერთი სულით მოვინათლეთ ერთ სხეულად - იუდეველები თუ ელინები, მონები თუ თავისუფლები, და ყველას ერთი სული გვისვამს“ (1 კორ. 12, 13; შდრ. გალ. 3, 28).

პავლე კორინთოში წელიწადსა და ექვს თვეს რჩება. იუდეველები ცდილობენ მას მსჯავრი დადონ აქაიას მთავრის, გალიონის, წინაშე. მაგრამ გალიონი, სენეკას ძმა, უარს ამბობს რელიგიური საკითხების განხილვაზე. იუდეველები ვერ ბედავენ პავლეს დასჯას - იგი ხომ რომის მოქალაქეა, მაგრამ სასტიკად უსწორდებიან სოსთენესს, სინაგოგის ყოფილ მთავარს, რომელმაც ქრისტიანობა აღიარა. დადგა ჟამი და პავლე გადაწყვეტილებას იღებს დატოვოს კორინთო და ეფესოს გავლით სირიის ანტიოქიაში დაბრუნდეს. ეფესოში დიდხანს ვერ ჩერდება, მაგრამ მომავალში აქ დაბრუნებას გეგმავს: „...თქვენთან ისევ დავბრუნდები, თუ ღმერთმა ინება“ (საქმე. 18, 21). ანტიოქიაში პავლემ „დაჰყო რამდენიმე ხანი და წავიდა და რიგრიგობით მოიარა გალატელთა ქვეყანა და ფრიგია, და განამტკიცებდა მოწაფეებს“ (საქმე. 18, 23). ზამთრის თვეებში პავლე მომავალი მოგზაურობისთვის ემზადება. დადგება გაზაფხული და შეუპოვარი მოციქული კვლავ გადალახავს მთებს, ველებსა და ზღვებს, რათა ღმრთის სიტყვა ყველას აუწყოს.

ფრანგულიდან თარგმნეს
ალექსანდრა მარგველაშვილმა და მანანა სულაძემ

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

სამი კვირა მევენახეზე

5 ოქტომბერს, 9.30 სთ-ზე, XXVII რიგით კვირას, რომის წმ. პავლეს ბაზილიკაში გალავანს მიღმა გაიხსნა ეპისკოპოსთა სინოდის XII კონფერენციის გენერალური ასამბლეა. სინოდის მუშაობა გაგრძელდა ვატიკანის სინოდის

დარბაზში 6-დან 26 ოქტომბრამდე, ამ თავყრილობის თემა იყო – „ღმრთის სიტყვა ცხოვრებაში და ეკლესიის მისიაში“.

ასამბლეა გახსნა რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ. პაპთან ერთად ლიტურგიაში მონაწილეობდა 130 ეპისკოპოსი, 85 მღვდელი და 5 თარჯიმანი. სინოდის მუშაობა სამ კვირას გაგრძელდა, პაპის ბენედიქტე XVI-ის წინამძღოლობით. წმიდა მამამ, გაითვალისწინა შეკრების ვიწროპროფესიონალური ხასიათი და წირვა ლათინურ ენაზე აღასრულა, რის შემდეგაც წარმოთქვა ქადაგება მევენახის შესახებ.

„...მევენახის ნიმუში, ქორწინებასთან ერთად მიგვანიშნებს ხსნის ჩანაფიქრზე და ალეგორიულია აღთქმისა, რომელიც ღმერთმა დადო თავის ხალხთან. მევენახის იგავში იესო იმეორებს ესაია წინასწარმეტყველის სიმღერას, ადაპტირებულს თავისი მსმენელებისათვის... ის აქცენტს აკეთებს არა იმდენად ვენახზე, არამედ ვენახის პატრონზე, რომელსაც „მსახურნი“ სთხოვდნენ საიჯარო თანხას...“

ნუთუ ამ იგავს არ მივყავართ ღმრთის რჩეული ხალხისა და მათთან გაგზავნილი წინასწარმეტყველების ისტორიასთან? ბოლოს და ბოლოს ვენახის პატრონი უკანასკნელ მცდელობას გადაწყვეტს: აგზავნის საკუთარ ძეს, დარწმუნებული იმაში, რომ მას მაინც დაუჯერებენ. ხდება საწინააღმდეგო: მევენახეები მას კლავენ სწორედ იმიტომ, რომ ის ძეა, ე. ი. მემკვიდრე... ესაა ნამდვილი განდგომა ღმრთისაგან. აქ აღესრულება ჯვარცმის საიდუმლო... ესაა არა მხოლოდ „საათი“ ქრისტესი – ჯვარცმის საიდუმლო ამ მომენტში, არამედ ჯვრის არსებობა ყველა დროში. აქედან გამომდინარე, ღმერთი არასოდეს ამბობს უარს ხსნის აღთქმაზე...

ძვირფასო და პატივცემული ძმებო, დაე, ღმერთი დაგვეხმაროს და სინოდის მუშაობის პერიოდში ვკითხოთ ერთმანეთს თუ როგორ გავხადოთ უფრო ეფექტური ჩვენს დროში სახარების ქადაგება“, – თქმა პაპმა.

საეკლესიო მოძღვრების პასუხისმგებლობა ღმრთის სიტყვის განმარტებაში

“წმიდა წერილი მხოლოდ ეკლესიის ცოცხალ გადმოცემაში უნდა იყოს გაგებული როგორც ღმრთის ჭეშმარიტი სიტყვა“, – აღნიშნა სარწმუნოების მოძღვრების კონგრეგაციის პრეფექტმა კარდინალმა ჯოსეფ ლევადამ ეპისკოპოსთა სინოდის XII გენერალური ასამბლეის პირველ ერთობლივ სხდომაზე, – აქ იგულისხმება უარყოფა ყოველგვარი სუბიექტური და წმინდა ექსპერიმენტული თუ ცალმხრივი განმარტებისა, რომელიც ვერ დაიტევს იმის გლობალურ აზრს, რაც საუკუნეთა განმავლობაში აძლევდა მიმართულებას ღმრთის ერის გადმოცემას. ამ თვალსაზრისით, იბადება აუცილებლობა და პასუხისმგებლობა მოძღვრებისა, რომელიც მოწოდებულია განმარტოს ღმრთის სიტყვა ქრისტიანთა მსახურებისა და მსოფლიოს გადარჩენისთვის. ასევე ჩვენ, მღვდელმთავრებმა, კარგად ვიცით, რაოდენ დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა როგორც მოციქულთა კანონიერი მემკვიდრეებისა და რას ელის ჩვენგან საზოგადოება, რომელსაც უნდა გადავცეთ საგანძური, რომელიც სხვათაგან მივიღეთ”.

პიუს XII-ის გარდაცვალების 50 წლისთავი

9 ოქტომბერს შესრულდა 50 წელი პიუს XII-ის გარდაცვალებიდან. “ძალზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა მის შესახებ გასული ორმოცდაათი წლის განმავლობაში, მაგრამ მისი მრავალფეროვანი სამოძღვრო საქმიანობის ყველა ასპექტი როდია განხილული სამართლიანად. სათანადოდ უნდა შეფასდეს მისი

ადამიანური სიბრძნე და მოძღვრის თავგანწირვა, რომელიც თან ახლდა მის ხანგრძლივ მსახურებას და განსაკუთრებულად გამოვლინდა ებრაელი ერის დახმარებისას” – აღნიშნა ბენედიქტე XVI-მ 18 სექტემბერს კასტელგანდოლფოში ინტერრელიგიური ორგანიზაციის “ავე ტჰე ჭაყ ოუნდატიონ” წარმომადგენლებთან შეხვედრისას. აღნიშნულმა ორგანიზაციამ, რომლის ერთ-ერთი მიზანია ურთიერთკავშირის გამყარება კათოლიკეთა და ებრაელთა შორის, უხვი მასალა შეაგროვა და სექტემბრის თვეში რომში პიუს XII-სადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი გამართა.

ბენედიქტე XVI-მ დაამოწმა, რომ პიუს XII-ის მრავალი მოქმედება “ხორციელდებოდა საიდუმლოდ და უჩუმრად, რადგან იმ რთული ისტორიული სიტუაციის გათვალისწინებით მხოლოდ ამგვარად იყო შესაძლებელი უარესი საფრთხის თავიდან აცილება და რაც შეიძლებოდა მეტი ებრაელის გადარჩენა”.

აქტიური ცილისმწამებლური კამპანია პიუს XII-ის წინააღმდეგ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. მის მოწინააღმდეგეთა მტკიცებით, მას გამბედაობა, ადამიანური თანაგრძნობა და ზნეობა აკლდა. და ეს შედარებით “რბილი” ბრალდებებია ნაციისტურ რეჟიმთან თანამშრომლობის ბრალდებასთან შედარებით.

უამრავი დოკუმენტი, თანამედროვეთა და თვითხმზილველთა მოწმობები ცხადყოფს, რომ ნაციზმის მიგინეარების ხანას პიუს XII ყოველგვარ შესაძლებლობას იყენებდა ომისა და სიძულვილის მსხვერპლთა დასაცავად; იგი გმობდა მასობრივ მკვლელობებს ოფიციალურ დოკუმენტებში და საჯარო გამოსვლებში; მას ჰქონდა იმის გამბედაობა, ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად შემოვლით გზებსაც არ მორიდებოდა.

ვატიკანის ეკოლოგიური ინიციატივა

ნოემბერში იგეგმება ვატიკანის ერთ-ერთი ეკოლოგიური ინიციატივის განხორციელება უნგრეთში. 250 ჰექტარი ფართობის დაბლობზე, რომელიც მდინარე ტისას გასწვრივაა გაჭიმული, დაირგვება 125 000 ხე – მუხა, ალვა, ტირიფი, ტყის მსხმოიარე ხეები.

მოცემული პროექტი შემუშავებულია ფირმების ლიმაფა (უნგრეთი) და ლანკტონ (აშშ) მიერ. ისინი სთავაზობენ წმიდა საყდარს, შექმნას უნგრეთში ტყის ზონა, რომელიც გაანეიტრალებს ნახშირბადის აირის იმ რაოდენობას, რომელიც წარმოიქმნება ვატიკანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამრიგად ვატიკანი იქნება პირველი სახელმწიფო მსოფლიოში, რომელიც ნახშირბადის დიოქსიდის “ნულოვან ემისიას” მიაღწევს.

“სათანადო ეთიკური და ზნეობრივი შეზღუდვების გარეშე ადამიანის მოქმედება შეიძლება საფრთხედ და გამოწვევად იქცეს. გამოცდილება გვასწავლის, რომ ქმნილების პასუხისმგებლობით განკარგვა არის – ან უნდა იყოს მაინც – ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი ტურისტული ბიზნესის ნაწილი. ამრიგად აუცილებელია, განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში, რომელიც ფართოდ იყენებს ბუნებას, ბალანსირებულად იმართებოდეს ჩვენი საარსებო გარემო, რომელიც არის ჩვენი საერთო სახლი და იქნება მათთვისაც, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა”, – აღნიშნა ბენედიქტე XVI-მ ეკოტურისტულ ჯგუფებთან შეხვედრისას.

ალექსი II-ისა და კარდინალ სეპეს შეხვედრა

1 ოქტომბერს საპატრიარქო რეზიდენციაში შედგა რუსეთის პატრიარქის ალექსი II-სა და ნეაპოლის მთავარეპისკოპოსის, კარდინალ კრემენციო სეპეს შეხვედრა. კარდინალმა ალექსი II-ს ნეაპოლის ეპისკოპოსის, წმიდამოწამე

იანუარიუსის ნაწილები და ბენედიქტე XVI-ის მისასალმებელი ეპისტოლე გადასცა.

„თქვენო უსამღვდელოესობავ, სიყვარულით ვიღებ ამ სიწმიდეს – გაუნყოფელი ეკლესიის წმიდანის, წმიდამოწამე იანუარიუსის ნაწილებს. მოწამე იანუარიუსს პატივს მიაგებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც. მე აღვიქვამ თქვენს ვიზიტსა და წმიდა ნაწილების გადმოცემას, როგორც ნიშანს კეთილი ურთიერთობებისა ჩვენს ეკლესიებსა და ჩვენს ერებს შორის,” – აღნიშნა პატრიარქმა. მან ასევე სთხოვა კარდინალ სეპეს, მადლობა გადაეცა წმიდა მამისათვის და დაამატა, რომ თავად გაუგზავნის საპასუხო ეპისტოლეს.

გთავაზობთ ბენედიქტე XVI-ის მისასალმებელი ეპისტოლის სრულ ტექსტს:

„მისი უსამღვდელოესობის, კარდინალ სეპეს ვიზიტი მაძლევს შესაძლებლობას, გადავცე თქვენს უწმიდესობას გულითადი და ძმური უფლისმიერი სალამი. უღრმესი სიყვარულის გრძნობით ვარ გამსჭვალული მართლმადიდებელი ძმების მიმართ და განსაკუთრებულ სიახლოვეს განვიცდი მათდამი ახლა, როდესაც კონფლიქტმა ამდენი ტანჯვა მოუტანა ჩემთვის ასე ძვირფას ერებს. განუწყვეტლივ აღვაფლენ ღოცვას მშვიდობისთვის, ყოველ დღე ვევედრები უფალს, რომ შესძენილ იქნას თქვენი უწმიდესობის მოწოდება – ერთა კეთილდღეობისთვის შეწყდეს ყოველგვარი მტრობა. რწმენა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი აკავშირებს გულებს, მოგვიწოდებს იმისკენ, რომ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და ერთობლივად მოვუტანოთ მსოფლიოს მშვიდობიანი, ერთმანეთის პატივისცემით გამსჭვალული სიცოცხლის მოწმობა. ჩვენი დროება, რომელშიც ასე ხშირია კონფლიქტები და გლოვა, კიდევ უფრო გვიბიძგებს იმისკენ, რომ ავაჩქაროთ ნაბიჯი ქრიტეს ყველა მოწაფის ერთობის გზაზე, რათა მთელმა კაცობრიობამ შეიტყოს ხსნის სასიხარულო უწყება. მოვიხმობ თქვენზე ღმრთისმშობელი მარიამის მეოხებას, რათა გამყოფოთ ჯანმრთელად და შეგეწიოთ თქვენს ყოველდღიურ მსახურებში და კვლავაც გიცხადებთ, თქვენო უწმიდესობავ, ჩემს ძმურ და გულითად პატივისცემას”.

მასალა მოამზადა **რუსუდან ავალიშვილმა**

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

მნიშვნელოვანი და სასიხარულო ფაქტია, რომ ლათინული წესის კათოლიკე ეკლესიას საქართველოში თანდათან ემატება ადგილობრივი მღვდლები და დიაკვნები – ახალგაზრდა ჭაბუკები, რომლებმაც ღმერთს მიუძღვნეს თავი და მზად არიან ღმრთისა და მოყვასისადმი ერთგული მსახურებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო ოქტომბრის – სავარდის – თვე. უფლის მოხმობით და წმიდა მარიამის მეოხებით აღესრულა ორი ხელდასხმა: 2008 წლის 4 ოქტომბერს დიაკონი მიხეილ სურმაგა მღვდლად იქნა ხელდასხმული, 18 ოქტომბერს კი – პაატა ქომოშვილი დიაკვნის ხარისხში ამაღლდა.

მღვდელი მელქისედეკის წესით მიხეილ სურმაგას ხელდასხმა

მიხეილ (მიშა) სურმაგას თბილისელი კათოლიკეების წინაშე, ალბათ, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, მას ყველა იცნობს. იგი ყმაწვილობიდანვე წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების თბილისის

კათოლიკური ეკლესიის მრევლის აქტიური წევრი იყო. მათთვის კი, ვინც კარგად არ იცნობს მას, მისი ცხოვრებიდან რამდენიმე შტრიხის მოყვანაც კი საკმარისი იქნება, რომ მასზე, როგორც მღვდელმსახურზე, ნათელი შთაბეჭდილება შეექმნას.

მიშა 1982 წლის 1 იანვარს დაიბადა, წმიდა მარიამის დიდდესასწაულზე. იგი მოინათლა 1988 წელს რუსეთში, მართლმადიდებლურ ეკლესიაში; პირველი ზიარება კი მიიღო 1996 წლის 25 დეკემბერს წმ. პეტრესა და წმ. პავლეს თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში; 1993 წლიდან კატეხიზაციას გადიოდა დედა ტერეზას დებთან. მიშა ადრეული ასაკიდანვე ჩაება ეკლესიის ცხოვრებაში და გახდა ერთ-ერთი აქტიური წევრი ქარიზმარტული საკრებულოსი “განახლება სული წმიდაში”, რომელიც მამა პავლე შჩეპანეკმა დააარსა და გარს შემოიკრიბა ახალგაზრდები.

1999 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, იგი შევიდა სამედიცინო კოლეჯში, რომელიც 2001 წელს დაამთავრა. 2000 წელს მიშას გადასცეს კატეხისტის მანდატი და მიანდეს ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობა; ამავე წელს იგი გადიოდა სულიერ წვრთნებს დონ ბერნარდოს ხელმძღვანელობით. მიშას გონებაში თანდათან მწიფდებოდა სურვილი, თავი მიეძღვნა ღმრთისათვის და ჩამდგარიყო მოძმეთა სამსახურში.

2001 წელს ეპისკოპოსის მოხმობით მიშა გაემგზავრა სანქტპეტერბურგის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად და ჩაირიცხა პირველ კურსზე. 2003 წლის 15 აგვისტოს მიშა სუტანით შეიმოსა და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მზადყოფნა უფლის მოწოდებაზე. 2003-2006 წლებში მიშა სარატოვის ეპარქიის ეპისკოპოსის დაქვემდებარებაშია. ამის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიასა და წმ. მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში გაიარა სამოძღვრო პრაქტიკა. 2007-2008 სასწავლო წელს მიშა საქართველოში გადმოვიდა სასწავლებლად და გაასრულა თბილისის კათოლიკური სემინარიის ბოლო კურსი.

2007 წლის 15 აგვისტოს კი დადგა გადამწყვეტი უამი, როდესაც მიშას საბოლოოდ უნდა გაეკეთებინა არჩევანი თავის მოწოდებაზე. სწორედ ამ დღეს აკურთხეს იგი დიაკვნად.

მამა მიხეილმა პრაქტიკა არალის ეკლესიაში გაიარა და იმ საკრებულოშიც დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა. მიშა ქარიზმარტული პიროვნებაა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მას ვერასოდეს ნახავთ მარტო: ირგვლივ სულ ბავშვები და ახალგაზრდები ახევეია. წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში მიშა მრავალ სააღდგომო, საშობაო თუ სხვა რელიგიური დღესასწაულების მომზადებასა და ორგანიზებას ხელმძღვანელობდა და ისე ახერხებდა, რომ თვითონ ყოველთვის ჩრდილში დარჩენილიყო (მას არ უყვარს ხოლმე, როცა აქებენ და აქცენტს მასზე აკეთებენ). შემთხვევითი არ არის, რომ მიშას მღვდად ხელდასხმა სწორედ წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს ეკლესიაში აღესრულა, რომელშიც საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოების მღვდლები, მონაზვნები და მრევლის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. აღასანიშნავია, რომ სტუმრებს შორის, სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ არალისა და უდეს საკრებულოს წევრები, რადგანაც კურთხევის შემდეგ მამა მიხეილი მათთან იქნება მივლენილი.

მამა ადამ ოხალმა იზრუნა, რომ კურთხევის ცერემონიალი განსაკუთრებული ყოფილიყო. ეკლესია ღამაზად იყო მორთული ყვავილებით. თეთრ სამოსში გამოწყობილი გოგონები და ბიჭუნები მღელვარედ ადევნებდნენ თვალს ყველაფერს და ცდილობდნენ არაფერი შეშლოდათ, რადგან მათაც მნიშვნელოვანი მისია ჰქონდათ დაკისრებული. მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის ყველა ადვილად გამოარჩევდა ერთ წევილს – მიშას მშობლებს,

რომლებიც აღელვებულები ელოდნენ წირვის დაწყებას. მათი მხოლოდშობილი შვილი, რომელიც ღმერთს მიუძღვნეს, დღეს ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსაგან ხელდასხმას მიიღებდა და წინ რთული და მოვალეობებით დატვირთული ცხოვრება ელოდა.

თავად მიშა კი ეკლესიის კარებთან ელოდა სტუმრებს და მღვდვარებისაგან ფერშეცვლილი, სიხარულით ესალმებოდა მათ. ეს დღე მისთვის ყველაზე განსაკუთრებული დღე იყო მის ცხოვრებაში. მართალია, იგი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება და სწორედ დღეს, 2008 წლის 4 ოქტომბრის გაცისკროვნებულ დილას თავი უნდა მიეძღვნა ღმრთისა და მოყვასის მსახურებისათვის და ღმრთის მოწოდებაზე კიდევ ერთხელ უნდა ეპასუხა: დიახ!

მიშას გვერდით ედგა მისი მრავალწლიანი პედაგოგი (ჯერ კიდევ სანქტპეტერბურგის სემინარიიდან), სულიერი მამა, მოძღვარი, აღმზრდელი და რექტორი, მამა პიერ დიუმულენი, რომელმაც, თავად მიშას თქმით (სამადლობელო სიტყვაში), მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე და არჩევანზე. “მიშა, უნდა ისწავლო, ისწავლო ჩვენი და მთელი საყოველთაო ეკლესიის სასიკეთოდ. მაგრამ გახსოვდეს, რომ ნებისმიერი ცოდნა უსიყვარულოდ არაფრად ღირს!”

წმიდა წირვას და კურთხევის ცერემონიალს უძღვებოდა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო (მის ქადაგებას ქვემოთ შემოგთავაზებთ).

წმიდა წირვის დამთავრების შემდეგ იყო მრავალი მილოცვა, საჩუქარი და ყვავილები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა წმიდა საყდრის დესპანის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის თბილი და გულშიჩამწვდომი მილოცვის წერილი, რომელიც მეუფე როლანდასმა წაიკითხა (თავად მთავარეპისკოპოსი იმ დღეს საქართველოში არ იმყოფებოდა).

მამა მიხეილმა სამადლობელო სიტყვა მისალმებით დაიწყო. ის მიესალმა ეპისკოპოსს, მღვდლებს, სემინარისტებს, მონაზვნებს, ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას, საკუთარ მშობლებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს:

„ჩემი განსაკუთრებული სალამი ამ ტაძარში შეკრებილ ახალგაზრდობას. მსურს ვთქვა ჩემთვის და, ალბათ, თქვენთვისაც საყვარელი პაპის, იოანე პავლე II-ის სიტყვებით: გმადლობთ რომ მოხვედით, გმადლობთ რომ ხართ...”

მე აღელვებული ვარ, ალბათ იმიტომაც, რომ ადამიანურად ჯერ ვერ ვაცნობიერებ, რომ გავხდი მღვდელი მელქისედეკის წესით; რომ ღმრთის განცხადებით, გავიარე და დავძლიე მრავალი სიძნელე და წინაღობა ცხოვრების გზაზე; რომ სიყვარულისა და ქრისტესმიერი მოხმობის წყალობით, ქაღწული მარიამის შუამდგომლობით, წმიდანთა წილდებულობით, ვიქეცი სრულუფლებიან ქრისტიანად, ჩემი ეკლესიის შვილად; რომ სული წმიდამ მატარა მღვდლობისაკენ, ჩემი ეპისკოპოსისა და მღვდლების მიერ, რომლებიც ზრუნავდნენ ჩემს მოწოდებაზე. მსურს ვთქვა, რომ თითოეული თქვენგანის შემწეობის გარეშე მე არ ვიდგებოდი ახლა აქ, ამ საზეიმო სიტყვით...

გმადლობთ თქვენ, ჩემო ძვირფასო მშობლებო, სიცოცხლისათვის, მე რომ მაჩუქეთ, რომ მასწავლეთ კეთილისა და ბოროტის გარჩევა. თქვენ პირველებმა მასწავლეთ მოყვასის სიყვარული...

ჩემი მადლიერების გამოხატვა მსურს ჩემს ეპისკოპოს ჯუზეპესადმი, იმისათვის, რომ ნდობა გამომიცხადა და ხელდასხმით მღვდლად მაკურთხა. გმადლობთ, პადრე ჯუზეპე, სწორედაც რომ პადრე, რაც მამას ნიშნავს, ვინაიდან თქვენ ჩემთვის და ჩვენთვის წარმოადგენთ დიდი ოჯახის მამას, მამას, რომელსაც შეუძლია მოგვისმინოს და დაგვარიგოს. თქვენში ვხედავთ მოსიყვარულე და სამართლიანი მამის სახეს. მე დამანახეთ, რომ შემიძლია ვიყო ის, რაც ვარ, და არ მეშინოდეს ამისა. თქვენ დამანახეთ მსახურების

შესანიშნავი მაგალითი, რომელზეც საუბრობდით თქვენს წერილში მღვდლებისადმი დიდ ხუთშაბათს. მსახურება, რომელიც გულისხმობს საკუთარი თავის სრულ მიძღვნას მოყვასისადმი, იესო ქრისტეს მაგალითისამებრ, რომელმაც ფეხი დაბანა თავის მოწაფეებს. ძვირფასო მამაო, ვერასოდეს დავივიწყებ თქვენს საჩუქარს, წინსაფარს, რომელიც მიკეთია, ნიშნად ჩემი მსახურებისა თქვენდამი და მთელი ეკლესიისადმი...

ძვირფასო ძმანო სემინარიელნო, გმადლობთ იმ წლებისათვის, რომლებიც თქვენთან გავატარე. მსურს გისურვოთ გამძლეობა და სიმტკიცე იმ გზაზე, რომელსაც ადგახართ. გახსოვდეთ ქრისტეს სიტყვები: თქვენ კი არ ამირჩიეთ, არამედ მე ავირჩიეთ თქვენ...

ძვირფასო ახალგაზრდებო, კიდევ ერთხელ მსურს გითხრათ, რომ იესოს უყვარხართ, რომ იესო გიღებთ თქვენ ისეთებს, როგორებიცა ხართ და იგი კელავაც გთავაზობთ ააშენოთ ცოცხალი ეკლესია, იმ საფუძველზე, რომელიცაა თავად – იესო ქრისტე. ნუ გაშინებთ თქვენი გულის კარის გაღება იესოსათვის. ნუ გაშინებთ იყოთ აგურები ამ ტაძარში. მოდით, ერთად დავამტკიცოთ რომ შესაძლებელია სიყვარული...”

წირვის დასრულების შემდეგ მამა მიხეილისაგან ყველამ კურთხევა მიიღო. საზეიმო ცერემონიალი ამით არ დასრულებულა, ის მეორე დღეს გაგრძელდა. მამა მიხეილმა პირველი წირვა სწორედ დედა ტერეზას კონგრეგაციის დებთან ჩაატარა. ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ ბავშვი კატეხიზაციებს სწორედ ამ კონგრეგაციის დებთან გადიოდა. სწორედ მათ მისცეს დაწყებითი განათლება ღმრთისმეტყველებაში და შეაყვარეს ეკლესია, ასწავლეს ბავშვებთან, ახალგაზრდებთან და ავადმყოფებთან ურთიერთობა. მან ამავე დღესვე აღასრულა წმიდა ლიტურგია თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში და გასცა კურთხევა.

„მოხარული ვარ, რომ დღეს თქვენთან ერთად ვიმყოფები. ჩვენ ყველანი ვართ უფლის ვენახი, ამ ლამაზი მიწის ნაყოფი და უფალს, როგორც მევენახეები, ჩვენი ქმედებებით ყოველდღე ჯვარს ვაცვამთ... უნდა გავაკეთოთ სასწაულები ღოცვით, რწმენით, თაყვანისცემით და ეს იქნება ჩვენი დიდი დახმარება მევენახეებისადმი. ამ საშუალებას გვაძლევს იესო ქრისტე, ეკლესია და მწამს, რომ ამ რწმენით გავიზრდებით და გამოვიღებთ ნაყოფს. უნდა გვახსოვდეს, რომ უსიყვარულოდ ჩვენ ამას ვერ მოვიმოქმედებთ... მოვუშვათ ჩვენთან ღმერთი, დავეხმაროთ და გვიყვარდეს ერთმანეთი, რათა ჩვენმა მძლავრმა ეკლესიამ ტკბილი და გემრიელი ნაყოფი მოგვცეს“, – აღნიშნა თავის ქადაგებაში მამა მიხეილმა.

მამა მიხეილი, როგორც ახალნაკურთხი მღვდელი, საქართველოს თითქმის ყველა კათოლიკურ ეკლესიაში ჩაატარებს წირვას და გასცემს კურთხევას. ეს იქნება კიდევ ერთი დახმარება მისთვის და ღმრთისაგან მინიჭებული დიდი წყალობა.

ციცინო ხითარიშვილი

ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ქადაგება მიხეილ სურმაგას სამღვდლო ხელდასხმაზე

თბილისი, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარი,
2008 წლის 4 ოქტომბერი

“უგალობეთ უფალს გალობა ახალი, მისი დიდება წმიდათა კრებულში”
(ფსალმ. 149:1).

საქართველოში ჩვენი ეკლესია დღეს ახალ გალობას ადავლენს, ეს მისი გალობაა, ვინც უფლის სიყვარულს გრძნობს, ვინც თავის შვილთა შორის ახალი მღვდელმსახური აირჩია.

ძვირფასო მამა მიხეილ,

ყოველი მოწოდების ისტორია მუდამ განსაკუთრებული ისტორიაა და მრავალ ისეთ მომენტს მოიცავს, რომელთა სრულად ცოდნაც მხოლოდ მას შეუძლია, ვინც პირადად განიცადა ისინი. რატომ მოგიხმო უფალმა შენ? (დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეკითხვა შენმა მშობლებმაც დაუსვეს საკუთარ თავს), რა გააკეთე იმისთვის, რომ ეს დაგემსახურებინა? შენს მეგობრებში ყველაზე ყოჩაღი იყავი და ამიტომ შეაჩერა შენზე არჩევანი?

ძვირფასო მიშა,

შენ კარგად იცი, რომ ამ მოხმობას არავინ იმსახურებს და რომ ეს მხოლოდ ღმრთის სურვილით ხდება. ღმერთმა ისურვა შენთან ერთად ამ ისტორიის დაწყება, შენს გულზე მოაკაკუნა და მოგიხმო. მან ეს მრავალი მომენტისა და პიროვნების მეშვეობით გააკეთა, რომლებიც უეჭველად გახსოვს, და მრავალჯერ, მრავალ შემთხვევაში შენ უპასუხე ღმერთს. დღეს შენ საჯაროდ იქნები მოხმობილი და კიდევ ერთხელ, საჯაროდ გასცემ პასუხს: დიახ, მე ეს მსურს! ამას რამდენჯერმე გაიმეორებ და ეკლესია ხელს დაგასხამს და მოციქულთა ჟესტის გამეორებით, გეტყვის: „შენ ადამიანთა მეზღუდრად გაქცევ“. შენს გულში იესოს ხმამ გაიჟღერა!

ნება მომეცი, რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა მოგცე, რაც ეკლესიის ხანგრძლივი გამოცდილების ნაყოფია:

– **მუდამ შეგეძლოს მასწავლებლისა და მოძღვრის ხმის ცნობა:** ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია! თუ მის ცნობას ვეღარ შეძლებ, და ის სხვა ხმებში შეგეშლება, დაიკარგები! მიეჩვიე, რომ ეს ხმა შენთვის ახლობელი იყოს ლიტურგიაში, პიროვნულ მედიტაციაში, აღორაციაში, შინაგან ღოცვაში. ღოცვას მუდამ ბევრი დრო დაუთმე და მუდამ იესოსთან იყავი! ეს იმის ხმაა, ვისაც შენ უყვარხარ... წაიკითხე, იფიქრე და მოუსმინე ღმრთის სიტყვას.

– **მოუსმინე იმ ადამიანთა ხმებს, ვინც გიხმობს** და ვისაც ესაჭიროები, როგორც მღვდელი: ყოველი ასეთი ხმის მიღმა არის სახე, ხშირად რთული ისტორია, ოცნებები და ცრემლი. ისწავლე მშვიდად, აუწყარებლად მოსმენა და ეცადე, გაიცნო ადამიანები, ვისთანაც ხარ მივლენილი, გიყვარდეს თითოეული ადამიანი, რომელიც მოვა შენთან, ისე, თითქოს ეს თავად იესო იყოს. გახსოვდეს: გაიცნო, რათა გიყვარდეს და გიყვარდეს, რათა გაიცნო!

– **დაუთმე შენი ხმა იესოს:** მშვენიერია, რომ შენი მღვდლად კურთხევა წმ. პავლეს წელიწადს მოხდა. გაითავისე მოციქულის გეგმა: „*ყველაფერს სახარებისთვის ვაკეთებ... რადგან თუ ვახარებ, არაფერი მაქვს სასიქადულო, ვინაიდან ეს ჩემი აუცილებელი მოვალეობაა, და ვაი მე, თუ არ ვახარებ*“. ჩვენ „*კეთილი ამბის*“ სახარებლად და ადამიანთათვის მხსნელი სიტყვის მისაცემად ვართ წარგზავნილნი. დაე, შენს გულშიც დაიდოს ბინა სწრაფვამ და თავდადება, წმ. პავლეს გულს რომ ავსებდა. მხოლოდ იესოს ქადაგებით მიიყვან ადამიანებს ხსნასთან. ჩემი ორდენის დამფუძნებლის, წმ. გასპარე ბერტონის ერთი გამონათქვამი მინდა გიძღვნა: *მკაფიო იყავი ქადაგებისას, ხოლო გულმოწყალე – სააღმსარებლოში*. ანუ, მოგეთხოვება ჭეშმარიტების გარკვევით გამოცხადება და ამასთან ერთად – გულმოწყალე დამოკიდებულება ადამიანებისადმი. ჭეშმარიტება და გულმოწყალება მშვიდობის საწინდარია!

– **შენი ცხოვრებით დაადასტურე ის, რასაც სიტყვიერად განაცხადებ:** შენ ისურვე, რომ დღეს სახარებიდან ფეხთბანვის ამბავი წაკითხულიყო. ეს ნაწყვეტი შენი, როგორც მღვდელმსახურის, სახარებად დარჩება! წმიდა წერილის ამ მონაკვეთზე დიდხანს გვიფიქრია. წინსაფარი, რომელიც დიდ

ხუთშაბათს მღვდელმსახურებს გადავეცი და შენც მოგეცი, შენი სამღვდელმსახურებო სამოსელი იქნება.

ევქარისტიის მიერ განსახიერებული სიყვარული: იესო, რომელიც გასცემს საკუთარ სიცოცხლეს და ადამიანთათვის გატეხილ პურად იქცევა, გროვდება წინსაფარში, რომელსაც იესო იკეთებს. დაე, შენი ცხოვრება ჭეშმარიტ ევქარისტიად იქცეს. მღვდელი მსახურებისთვისაა მოხმობილი, მისი ფუნქცია კი არ აამაღლებს მღვდელს სხვებზე, არამედ მღვდელი ისაა, ვინც თავს იმდაბლებს, მორჩილად, თავმდაბლად ცხოვრობს, და თავის ცხოვრებას ადამიანთა მსახურებას უძღვნის, რათა მათ იესოსკენ სწორად შეძლონ სვლა. მსახური იესოს ხატებას კარგად ეხამება წმ. ფრანცისკის ხატება, ვისი ხსოვნის დღესაც აღვნიშნავთ დღეს. გთხოვ, მუდამ ახლოს დარჩე შენთვის ძვირფას ამ წმიდანთან, რადგანაც ის ყოველთვის მიგიითითებს საუკეთესო გზას ადამიანთა მსახურებისთვის!

ძვირფასო მამა მიშა,

მღვდელმსახურის მისია, რომელსაც შენ დღეს იწვევ, ადვილი არ იქნება. ამ გზაზე მრავალი სირთულე და იმედგაცრუება შეგხვდება. მაგრამ ასეთი იყო იესოს მისია, ვინც გარკვევით უთხრა თავის მოწაფეებს: „*ვისაც ვუყვარვარ, აიღოს თავისი ჯვარი და გამოძევოს*“. მაგრამ სული წმიდა იქნება შენზე და ეს ძალა არასოდეს არ მიგატოვებს. რთულ მომენტებში ჯვარცმას შეხედე და გაიხსენე, რომ ღმერთი ჯვარზე გაკრულიც კი ერთგული დარჩა! დღეს ეკლესიაში ამდენი ადამიანის დასწრება იმის დასტურია, რომ ამ გზაზე მარტო არ იქნები. დები და ძმები დაგეხმარებიან და მხარში დაგიდგებიან თავიანთი ღოცვით.

საკრებულო პასუხისმგებელი უნდა იყოს მღვდელმსახურზე, რომელსაც მას ღმერთი მიუვლენს. შენ ამ ეკლესიის შვილი ხარ და ამ ეკლესიას უყვარხარ. ეძიე ერთიანობა და იღვაწე ერთიანობისთვის, უმთავრესად სხვა მღვდელმსახურებთან. მღვდელმსახურთა ერთიანობა ეპისკოპოსთან ყველაზე მშვენიერი ნიშანია მორწმუნეთათვის და ის სამწყსო მუშაობის ნაყოფიერების წყაროა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა შენ მშობლებს. მათ სიცოცხლე გაჩუქეს, ახლა კი შენს თავს უფალს უძღვნიან. შეიძლება ეს მათთვის არც ისე მარტივია, მაგრამ მინდა ვუთხრა მათ, რომ უფალი მუდამ გულუხვია მათ მიმართ, ვინც მას შვილს უძღვნის!

ძვირფასო მამა მიხეილ,

შენს თავს შევავედრებთ იესოს დედას, მარიამ ნაზარეველს. დაე, ის დედა იყოს შენთვის და მუდამ დაიფაროს შენი გზა.

იყავი წმიდა მღვდელმსახური!

„ღმრთის ჩანაფიქრი და ზრახვები მიუწვდომელია“

პაატა ქომოშვილის დიაკვნად კურთხევა

“ამის შემდეგ ამოარჩია უფალმა სხვა სამოცდაათი და წინასწარ მიავლინა ორ-ორი ყოველ ქალაქსა და სოფელში“ (ლუკ. 10, 1). შემთხვევითი არ არის, რომ პაატა ქომოშვილის ხელდასხმა 18 ოქტომბერს, სწორედ ლუკა მახარებლის დღესასწაულზე მოხდა. ისიც ერთ-ერთი სამოცდაათაგანია, ღმრთის რჩეული, რომელმაც უნდა იქადაგოს ყველა სოფელსა თუ ქალაქში.

პაატა მესხეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს და ძირძველ კათოლიკურ სოფელ არალში დაიბადა. ქრისტიანული რწმენა და ღმრთის სიყვარული ოჯახში მიიღო, აქვე შეისწავლა ღოცვები და ეზიარა ღმრთის მცნებებს. როგორც თავად

აღნიშნა, ხანგრძლივი ეჭვებისა და შიშის შემდეგ იწამა ღმრთის ყოვლისშემძლეობა და გულმოწყალება და საბოლოოდ გადაწყვიტა საკუთარი არჩევანი – თავი მიეძღვნა უფლისათვის და მიეღო მისგან ბოძებული უსასყიდლო მადლი.

პაატა სკოლის დამთავრების შემდეგ სანქტპეტერბურგის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, შემდეგ კი – თბილისის კათოლიკურ სასულიერო სემინარიაში. პარალელურად იგი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის საუკეთესო სტუდენტი იყო და წარჩინების დიპლომიც დამსახურებულად მიიღო.

ღიაკვნად კურთხევის ცერემონიალი პაატას მშობლიურ სოფელში – არალში ჩატარდა, რაც ამ სოფლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დიდი მადლი და პირველი პრეცედენტი იყო. ამ დღეს აქ სული წმიდა შემოვიდა და ეს ეკლესია გახდა უფრო წმიდა და უფრო მადლიანი. პაატას, როგორც ამ სოფლის შვილს, ალბათ, ყველაზე მეტად, მშობლიური საკრებულოს წევრთა ღოცვა და თანადგომა დაეხმარება არჩეული გზის სწორად გააზრებაში.

ეკლესია გადაჭედილი იყო მორწმუნეებით – ადგილობრივი მრევლის წევრებით, თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან, მესხეთის ყველა კათოლიკური საკრებულოებიდან ჩამოსული სტუმრებითა და მღვდლებით. წირვას ესწრებოდა წმიდა საყდრის სადესპანოს მდივანი მეუფე როლანდასი. რადგანაც ეკლესია ხალხს ვერ იტევდა, ეზოში იდგა ტელევიზორი, სადაც აჩვენებდნენ კურთხევისა და წმიდა წირვის მსვლელობას.

წირვის დასაწყისში სემინარიის რექტორმა, მამა პიერ დიუმულენმა ეპისკოპოსს, სამღვდლო დასსა და მორწმუნეებს წარუდგინა ღიაკვნობის კანდიდატი და ითხოვა მასზე კურთხევის მადლი გადმოსულიყო.

თავის ქადაგებაში ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღნიშნა:

“აქ მრავალი ადამიანი შეიკრიბა, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა საკრებულოთა წარმომადგენლები. ეს არის ამ ახალგაზრდის, პაატას მიმართ სიყვარულის გამოხატულება, და აგრეთვე პატივისცემის ნიშანი საეკლესიო საიდუმლოებისადმი, რომელიც დღეს მას ხელთა დასხმით მიენიჭება. ღიაკვნობა მღვდელმსახურების წინამორბედი მნიშვნელოვანი ეტაპია... ის დიდი ნიჭია, როგორც მისი მიმღების, ისე მთელი ეკლესიისთვის...”

ძვირფასო პაატა, დღეს, წმ. ლუკა მოციქულის დღესასწაულზე, სახარების ტექსტი სწორედ მისიას ეძღვნება. დღეს შენც წარიგზავნები და იესო გეუბნება: *“შე მიგავლენ შენ, როგორც ცხვარს მგელთა შორის, არ წაიღო გზაში არც ხელჯოხი, არც გუდა, არც პური”.*

ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ უფალს უნდა მიენდო. არ იფიქრო, რომ შენი სამწყესო შრომის ნაყოფი ფულით მიიღწევა. იესოს მიერ მივლინებული მხოლოდ ღმერთთან შემდგარი შეხვედრის (მოხმობის ძალა) სიხარულით და იმის შევნებითაა შეიარაღებული, რომ მისთვის „მხოლოდ უფალი კმარა“.

ამიტომაცაა ის ღატაკი და უიარაღო მგელთა შორის. მხოლოდ ღმერთი ეხება გულებს. იესო ღატაკი იყო, მოციქულები ღატაკნი იყვნენ და ამიტომაც ესმოდათ კარგად თავიანთი ხალხის ცხოვრება.

იესო გეუბნება: *„სახლში შესვლისას თქვი: მშვიდობა ამ სახლს!”* ბიბლიაში მშვიდობა ღმერთის სინონიმი.

პაატა, იყავი ღვთის კაცი, ანუ მშვიდობის კაცი. შენ იცი, რამდენ ოჯახში სუფევს დაყოფა და მტრობა. ხალხს ძალიან სჭირდება მშვიდობა და დაეხმარე ადამიანებსა და ოჯახებს, რომ ერთმანეთი შეიყვარონ. ჩვენს საკრებულოშიც ხშირია ჩხუბი, შური, განსჯა... შენს მისიად ჩათვალე თანაზიარებისა და მშვიდობის დამყარება. თუ ადამიანები არ მიიღებენ მშვიდობას, რომელსაც მათ მიუტან, ის არ დაიკარგება, არამედ შენ დაგიბრუნდება, მის გამცემს, და შენს

გულში დარჩება გამოცდებისა და ცდუნებების მიუხედავად... ეს შენი სიხარული იქნება.

იესო გეუბნება: “ერთი სახლიდან მეორე სახლში ნუ გადახვალ”.

იესო გთხოვს, დრო არ დაკარგო, უქნარა და დაუსაქმებელი ადამიანივით არ მოიქცე. შენი ცხოვრების მიზანი ახლა უფალთან, ღმერთთან ადამიანთან მიყვანა, ყველა ადამიანის მასთან შეხვედრებაა. ეს მიზანი ცხადად უნდა გქონდეს დასახული ღოცვის, ეკლესიაში საკურთხეველის მახლობლად დგომის დროს, კატეხიზმოს სწავლებისას, ადამიანებთან სტუმრობის დროს, მათთან საუბრისას. დიაკვანი მუდამ იქნები, ანუ ყოველ წუთს და დასაკარგი დრო არ გაქვს. შენი ცხოვრების არც ერთი წუთი არ გაფლანგო ფუჭად.

იესო გეუბნება: “განკურნე სნეულნი და უთხარი მათ: ახლოსაა თქვენთან ღვთის სასუფეველი”.

გაჭირვებაში მეოფთა დახმარება და მსახურება და ღვთის სიტყვის ქადაგება სადიაკვნო მსახურების ორი ძირითადი მიმართულებაა.

მიხედე ღარიბებს, სნეულებს და შენი ზრუნვითა და სიყვარულით დაანახე მათ, თუ რაოდენ ძვირფასია თითოეული მათგანი ღვთის წინაშე. წმ. ლუკას გულმოწყალების მოციქულს უწოდებენ და მან გადმოგვცა კეთილი სამარიელის იგავი. არასოდეს მოიქცე ისე, თითქოს გაჭირვებაში მეოფს ვერ ხედავ. იფიქრე იმაზე, თუ როგორც მოიქცა სამარიელი და მოუსმინე იესოს სიტყვას: „წადი და შენც იგივე გააკეთე”...

დიაკონი აგრეთვე ღვთის სიტყვის მსახურიცაა. დაუღალავად გამოაცხადე ღმრთის სიყვარული. ადამიანები ელიან კეთილი ამბის გაგონებას: ღმერთს ყოველი ადამიანი უყვარს, ის თითოეული ჩვენგანისთვის განკაცდა და მოკვდა ჯვარზე!..

ძვირფასო პაატა, შენს მშობლიურ სოფელ არალში, რომელიც ოდითგანვე ცნობილია საქართველოში კათოლიკე ეკლესიისადმი თავისი ერთგულებით და რომელიც ახლა გამოცდის წინაშე დგას, სადაც მიტოვების ნიშნები შეიმჩნევა, შენ, ამ ხალხისა და ამ ქართული მიწის შვილი შენს ცხოვრებას ღმერთს უძღვნი და კათოლიკე ეკლესიის მსახურებას იწყებ. მშვენიერია, რომ ეს ღონისძიება ამ ადგილას ტარდება.

ვისურვებდი, რომ დღეს ყველა კათოლიკე, განსაკუთრებით კი არალის ახალგაზრდები, საკუთარ თავს შეეკითხონ: თუ პაატა დიაკვანი ხდება (შემდეგ კი მღვდელი გახდება), მე რისი გაკეთება შემიძლია ჩემი ეკლესიისთვის?..

ახალგაზრდებს ასეთი შეკითხვის დასმა შეუძლიათ საკუთარი თავისთვის: კმაყოფილი ვიქნებოდი, უფალს მეც რომ მოვეხმე, როგორც პაატა?

სემინარიაში შენ თავისუფალ ადგილს ტოვებ. გამოჩნდება ვინმე, ვინც დღეს მივა მამა პიერთან, სემინარიის რექტორთან, და ეტყვის მას, რომ პაატას ადგილის დაკავება სურს. დარწმუნებული ვარ, შენ ამით ყველაზე კმაყოფილი დარჩებოდი და შენთვის ეს იქნებოდა ყველაზე მშვენიერი საჩუქარი, რაც კი უფალმა შეიძლება მოგიძღვნას.

ძვირფასო დებო და ძმებო, იესომ გვითხრა: “ყვედრეთ სამკლის უფალს, რომ გამოგ ზავნოს მუშაკნი თავის სამკალში”. ყველანი ვლოცულობთ ამისათვის.

მადლობა მინდა გუთხრა ადამიანებს, რომლებიც დაგეხმარნენ ამ გზის გავლაში, შენს აღმზრდელებსა და მასწავლებლებს და, განსაკუთრებით, შენს მშობლებს და უფალს მათ კურთხევას შევთხოვ”.

წმიდანთა ღიტანიის გალობის დროს ყველანი დაჩოქილნი შესთხოვდნენ უფალსა და ყველა წმიდანს გადმოველინათ თავიანთი კურთხევა პაატაზე.

და აი, დადგა კურთხევის მთავარი მომენტიც, როდესაც ეპისკოპოსმა ხელნი დაასხა და კურთხევის ღოცვა წაიკითხა, რის შემდეგაც ის სადიაკვნო სამოსით შემოსეს და სახარება გადასცეს.

წირვის დასასრულს პაატამ მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს, მღვდელსა და მონაზონს, განსაკუთრებით კი ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, მეუფე როლანდას და სემინარიის რექტორს, მამა პიერ დიუმულენს; მშობლებსა და და-ძმებს; ასევე არ დავიწყებია მისი პირველი მოძღვარი მამა ბერნარდინი, რომლისგანაც ბევრი რამ ისწავლა. შემდეგ მან თავისი ნაფიქრალ-ნააზრევი გაუზიარა შეკრებილ მორწმუნეებს:

“...ჩემი სურვილია, გავიზიაროთ ჩემი ნაფიქრალი, რომელსაც ვაძარებ უწმიდესი ქალწული მარიამის ცხოვრების მნიშვნელოვანეს მომენტს – იმ მნიშვნელოვან ფაქტს კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მოხდა დაახლოებით 2000 წლის წინ. საუბარია ერთ ახალგაზრდა გოგონაზე – მარიამზე, რომელსაც გამოეცხადა ანგელოზი და ახარა, რომ ღმრთის დედა უნდა გამხდარიყო. ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით მარიამის პასუხიც – ის ცნობილი კითხვა „როგორ?“, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრებაში ისმება და მეორდება. ეს მეტად უბრალო, მაგრამ ძალზედ სერიოზული კითხვაა, რომლის განსჯასაც თვით ფილოსოფოსნიც დიდ დროს უთმობდნენ. თუმცა, მიუხედავად ამ კითხვისა, მარიამი ღმრთის მოწოდებას უმაღლეს, თავმდაბლად დაეთანხმა. სწორედ ამის მსგავსად და, მარიამისაგან განსხვავებით, მე დიდი ხნის განმავლობაში მაწუხებდა ეს კითხვა: როგორ? რატომ?”

მინდა გითხრათ, რომ ხანგრძლივი მედიტაციებისა და ფიქრის შემდეგაც ჩემთვის უპასუხოდ რჩებოდა ეს კითხვები და ხანდახან გონებაში გაიელვებდა – როგორ? რატომ? დღეს კი შემიძლია გითხრათ, რომ არც ახლა მაქვს პასუხი, ვინაიდან ღმრთის ჩანაფიქრი და ზრახვები მიუწვდომელია ჩემთვის – მცირე ადამიანისათვის. ეს მხოლოდ რწმენის საგანია და გულში ჩასამარხი. ამ საიდუმლოს გასაღები მხოლოდ “ღიას“-ის თქმაა ღმრთის მოხმობაზე. მეც ასე მოვიქცევი. ამის გაზიარების იდეა შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან დღეს ხომ ღუკა მახარებლის დღესასწაულია, რომელმაც კარგად აღწერა მარიამის ხარების ისტორია...”

არალის საკრებულოსათვის ეს დღე მნიშვნელოვანი და საზეიმო იყო, ამიტომაც საკრებულოს ყველა წევრი ცდილობდა პირადად მიელოცა ახლადნაკურთხი ღიაკენისათვის, ასევე იყო მრავალი მილოცვა და კეთილი სურვილი ვაღეს, ივლიტას, სიზაბავრის, უნწის წარმომადგენლებისაგან. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო, როდესაც ცრემლმორეულმა დედამ და დებმა მიულოცეს პაატას ეს მნიშვნელოვანი დღე. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის პრორექტორმა, ბ-ნმა ვაჟა ვარდიძემ მას წარჩინების დიპლომი დაგაცა, რაც ერთგვარი სიურპრიზი იყო პაატასათვის.

ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ კვლავაც მრავალი ახალგაზრდა უპასუხებს ღმრთის მოწოდებას: ღიას!

ციცინო ხითარიშვილი

საეკლესიო ცხოვრება უდგში

“ხოლო თქვენ ძმანო მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგეოფთ, განგამტკიცებთ და დაგაფუძნებთ”

1 პეტრ. 5: 10-11

ხუთ აგვისტოს უდის მთა თოვლიანი ღმრთისმშობლის სახელობის დღესასწაულს აღნიშნავს. ტრადიციულად იქ სტუმრობენ ეპისკოპოსი, მღვდლები და სხვადასხვა საკრებულოთა მორწმუნე კათოლიკეები. წელსაც არ დარღვეულა ეს ტრადიცია და სადღესასწაულო წირვა დიდი ზეიმით აღინიშნა, რომელსაც ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა.

წირვის დასრულების შემდეგ მამა ჯუზეპემ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი გვამცნო, რომ სოფელ არალში ზოგიერთი მართლმადიდებელის მიერ გავრცელდა უსირცხვილო და ცილისმწამებლური წერილი, რაც გულსატკენი და სამწუხარო ფაქტია. ნუთუ შეიძლება ასეთი უსამართლო ბრლადებების გავრცელება სოფელში? სამწუხაროა, რომ მათი მოსმენა და ატანა უწევთ კათოლიკეებს – მღვდლებსა თუ რიგით მორწმუნეებს.

სამი დღის შემდეგ კიდევ უფრო სამწუხარო ამბავი დაგვატყდა თავს – ძალით თავსმოხვეული ომი – საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ინტენსიური სროლები და დაბომბვები.

სოფელი დევნილებით გაივსო, დაიღუპა ბევრი უდანაშაულო ადამიანი. ჩვენს სოფელს ორი ჯარისკაცი გამოაკლდა. ერთადერთ იმედად ლოცვა დაგვრჩენოდა. ჩვენ, კათოლიკეები, ვიკრიბებოდით ეკლესიებში და ელოცულობდით. სამწუხაროა, რომ ე. წ. „გადანათლული“ მართლმადიდებლები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენს ლოცვებს ძალა არ ჰქონდა.

მახსოვს, ერთი გოგონა ძალიან წუხდა ძმის გამო, რომელიც ფრონტზე იბრძოდა, მისგან კი არაფერი ისმოდა. მე მას ლურდის ღმრთისმშობლის ხატი მივაწოდე და ვთხოვე ელოცა მისთვის, რადგან ვიცოდი, რომ ერთადერთი საშუალება მხოლოდ ლოცვა იყო. მან კი უარი განაცხადა, რადგან ეს ხატი კათოლიკური იყო და მის ძმას კათოლიკური ლოცვა ვერ დაეხმარებოდა. თითქოსდა, მხოლოდ მართლმადიდებლების მიერ აღვლენილი ლოცვები დაეხმარებოდა მეზრძოლებს, დაკარგულებსა და დაჭრილებს. ეს ჩემთვის დიდი ტრამვა და ძნელად გადასატანი იყო.

ამდენი სამწუხარო ამბების შემდეგ მამა იეჟიმ გვაუწყა სასიხარულო ამბავი – დიაკონ მიხეილ სურმავას მღვდლად ხელდასმმა, რომელიც 4 ოქტომბერს აღესრულებოდა და შემდეგ არალსა და უდეში შეუდგებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მღვდლად კურთხევის შემდეგ მამა მიხეილი მესხეთის ულამაზეს სოფლებში ჩამოვიდა და პირველი წირვა 12 ოქტომბერს უდისა და არლის ეკლესიებში ჩაატარა, 16 ოქტომბერს კი – უდის წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო სახლში.

ახალხელდასხმულ მღვდელს უდის მრევლი დიდი სიხარულითა და სიყვარულით შეხვდა, განსაკუთრებით უხაროდათ ბავშვებს. წირვის დასასრულს ბავშვებმა გულთბილად მიულოცეს მას მღვდლად კურთხევა და ღმრთისმშობლისა და წმ. გიორგის ხატები უსახსოვრეს, გადასცეს ასევე, საკუთარი ლექსებიც.

ესარგებლობ შემთხვევით და მამა მიხეილს ეულოცავ მღვდლის ხარისხში ამადლებას, ვუსურვებ, რომ მისი გული ყოველთვის იყოს ღია და სიყვარულით ავსილი მოყვასის მიმართ, განურჩევლად მათი აღმსარებლობისა და ასაკისა. იმედი გვაქვს, რომ იგი ყოველთვის დაეხმარება გულნატკენ კათოლიკე მრევლს.

მარინა ადლემაშვილი

უდე

მამა მიხეილ სურმავას პირველი მღვდელმსახურება

უდე

12 ოქტომბრის დადგომას სიხარულით ველოდით მე და ჩემი ძმა. ჩვენს ეკლესიაში სახეიმო წირვას ატარებდა მამა მიხეილ სურმავა. ჩვენს სიხარულს სხვა ბავშვები, ახალგაზრდები და უფროსებიც იზიარებდნენ, მამა იეჟი

შიმეროვსკიც მოუთმენლად ელოდა ეკლესიაში ახალგაზრდა მღვდლის ჩამოსვლას.

მიშა სურმავას ჩვენ აღრეც ვიცნობდით, როცა დიაკონი იყო და ძალიან გვიყვარდა. მასთან თავს თავისუფლად ვგრძნობდით, როგორც უფროს მეგობართან. იგი გვიკითხავდა საკითხავებს სახარებიდან და თან განმარტავდა ჩვენთვის გაუგებარ რთულ ადგილებს; საზაფხულო არდადეგებზე კი აბასთუმანში გვეწვია და დიდად გვასიამოვნა.

ახლა კი მამა მიხეილი ჩვენი ეკლესიის მღვდლად დანიშნეს, რამაც ძალიან გაგვახარა. მთელი გულით ვულოცავთ მას და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მრევლის სიყვარულს. გვინდა, რომ ჩვენს სოფელში და საქართველოში იყოს ძლიერი კათოლიკური ეკლესია და არ იყოს დაპირისპირება კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის. გვინდა იყოს მშვიდობა მთელს საქართველოში და აღარ განმეორდეს აგვისტოს მძიმე დღეები, რამაც დიდი ტკივილი მოუტანა ჩვენს ოჯახს, საყვარელი ბიძაშვილის – ალიკა ბალახაშვილის დაღუპვის გამო.

მამა მიხეილ,

ჩვენი ეკლესია, მამა იეჟის წინამძღოლობით, ბევრს ვლოცულობთ თქვენზე. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ვანიკო და გიორგი სარაშვილები

ვალე

ვალეში, 19 ოქტომბერს, წმ. წირვა ჩაატარა მამა მიხეილ სურმავამ, წირვის აღსრულებაში მას ახალნაკურთხი დიაკონი პაატა ქომოშვილი ეხმარებოდა, მამა ზურაბთან და მამა მაჩეისტან ერთად.

ეს მამა მიხეილის პირველი წმიდა წირვა იყო ჩვენს საკრებულოში, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ბევრჯერ გვეწვევა და სიხარულს მოგვანიჭებს. უბრალო, ხალისიანი და გულშიჩამწვდომი იყო მისი ქადაგება, რომელიც არასოდეს დაგვავიწყდება.

შევეცადოთ ვიყოთ ფერად-ფერადები და იქ, სადაც მივალთ, შავ-თეთრი ფერი მხიარული ფერებით შევცვალოთ, სიხარული შევიტანოთ ყველგან, როგორც ქრისტეს მოაქვს ჩვენთან და როგორც ეს ჩვენთვის გააკეთა მამა მიხეილმა.

მამა მიხეილ,

ვისურვებთ, რომ ყოველ ადამიანს, ვისაც კი შეხვდებით ცხოვრების გზაზე, სიხარული და სიმშვიდე მიანიჭოთ, რისთვისაც ყოველი ჩვენგანის მამამ აგირჩიათ.

ასევე ვულოცავთ პაატას დიაკვნად კურთხევას და ვუსურვებ მრავალი კარგი საქმის კეთებას, რწმენაში სიძლიერეს და გულის სისპეტაკეს.

გპირდებით, ყოველთვის ვილოცებთ თქვენთვის!

საქართველოში, სადაც კათოლიკეები უმცირესობაში ვართ, სასიხარულოა იმის ცოდნა, რომ ჩვენ გვაქვს მომავალი. ამისათვის დღეს მამა მიხეილს და პაატას მოუწოდა ღმერთმა, ხვალ კი სხვებს მოუხმობს თავის ვენახში სამუშაოდ. დაე, ყველამ დაინახოს, რომ ჩვენ ახალი ძალებით ვივსებით.

ლელა სამარჯიშვილი

ახალციხე

კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე გათენდა ახალციხის კათოლიკე მრევლისათვის. ათი წლის წინ, 7 ოქტომბერს, ახალციხის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიაში პირველად აღევლინა საზეიმო წირვა. ჩვენთვის

სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ ახალციხეში ეკლესიის დღესასწაულზე თავისი პირველი წირვა აღავლინა მამა მიხეილ სურმაგამ.

ამ ზეიმისათვის განსაკუთრებულად მოემზადა ახალციხის საკრებულო, მოაწესრიგა მისი შენობა, მგალობელთა გუნდი ახალგაზრდებით დაკომპლექტდა. 7 ოქტომბერს, დილით საკრებულოს შენობაში მრავალი ადამიანი შეიკრიბა, მოვიდნენ სტუმრები არალიდან, ვალედან, უდედან, ხიზაბავრიდან და სხვა საკრებულოებიდან, წმ. ნინოს ორდენის მონაზვნები: ჟიზელი, პასკალინა, მარინუელი, სხვადასხვა საკრებულოების მღვდლები და მონაზვნები. გვინდა მადლობა ვუთხრათ ყველას ამგვარი გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

წირვის დამთავრების შემდეგ ყველამ მივულოცეთ მამა მიხეილს მღვდლად კურთხევა. მრევლის მცირეწლოვანმა წევრმა გიორგიმ მას საჩუქრად გადასცა მესხური ტრადიციული წყლის ჭურჭელი – კათხა და სთხოვა მისი ყოველი მოხმარების დროს ელოცა ახალციხის საკრებულოსათვის.

მადლობა უფალს კიდევ ერთი ღამეში დღის მონიჭებისათვის!

ელზა ზუბაშვილი

„საქართველოს კარიტასი“ ღტოლვილთა სამსახურში

აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად, სამწუხაროდ, საქართველოში ისევ გაჩნდა იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც რუსული აგრესიის შედეგად მიატოვეს სახლ-კარი და წავიდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა თუ სოფლებში.

ქუთაისმაც შეიფარა ღტოლვილები. ქალაქის მერიასთან შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც შეუდგა ღტოლვილების განთავსებას ქალაქის პანსიონატებში, სკოლებში, კოლეჯებში და სხვადასხვა დაწესებულებებში.

კათოლიკური საქველმოქმედო ფონდი “საქართველოს კარიტასი”, როგორც ყოველთვის, ახლაც დროულად გამოეხმაურა ღტოლვილების დახმარების აქციას და შეძლებისდაგვარად გაუწოდა მათ დახმარების ხელი. პირველივე დღეებში ღტოლვილთა დახმარების საქალაქო შტაბს მიეწოდა ერთი ტონა შაქარი და 495 ცალი ხორცის კონსერვი.

“საქართველოს კარიტასის” ქუთაისის ორგანიზაცია რეგულარულად აწვდის პურს, საკონდიტრო ნაწარმს იმ ღტოლვილებს, რომლებიც განთავსებულნი არიან ქუთაისის 44-ე სკოლაში, ავტომექანიკურ კოლეჯსა და სოფ. ქვიტირის კემპინგში.

ქუთაისის ავტომექანიკურ კოლეჯში მოთავსებული ღტოლვილები, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს არიან “საქართველოს კარიტასის” ქუთაისის ორგანიზაციის ბავშვთა ცენტრთან, უფასოდ სადილობენ ამ ობიექტის სასადილოში. ჯერჯერობით უფასოდ იკვებება 30 მსურველი. მზად ვართ მოვემსახუროთ 50-მდე ადამიანს.

ღტოლვილებს გადაეცათ თეთრეული, ბალიშები, ლოგინები, ორი სარეცხი მანქანა, უთოები, ინდივიდუალური ჰიგიენის საგნები, პამპერსები, თევშები, დანა-ჩანგალი და მრავალი სხვა ცხოვრებისათვის აუცილებელი ნივთი თუ საგანი. ამ საქმეს მოხმარდა 20000 ლარი.

საქველმოქმედო ფონდ “საქართველოს კარიტასის”
საპრეზიდენტო საბჭოს წევრი
ჯოლიონ ქანიო

ანსამბლ “კანტიკას” კონცერტი

„ძმათმოყვარეობაში – ერთმანეთისადმი გულთბილი სიყვარულით, პატივისცემაში ერთმანეთს დაასწარი“ (რომ. 13: 10). წმიდა პავლეს ეს სიტყვები შესანიშნავად მიესადაგება სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანთა ერთობას. ჩვენი ეკლესიის ყოფილი მოძღვარი, მამა იან სნეჟინსკი ხშირად ამბობდა: “დაინახეთ ის, რაც ჩვენ გვაერთიანებს და არა ის, რაც ჩვენ გვაცალკევებს”.

ქრისტიანებს შეუძლიათ იმეგობრონ, ერთად ილოცონ, ერთობლივად შეასრულონ კეთილშობილური საქმეები, იზრუნონ გაჭირვებულთა და ავადმყოფთათვის, მონაწილეობა მიიღონ ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდის პროცესში. ეს შესაძლებელია მუსიკის მეშვეობითაც.

ერთხელ ჩვენს ეკლესიაში მოვიდა პატარა ჯგუფი – ზაზა, ორი მარინა, თამარიკო და ლუდა. ისინი ეკლესიის მოძღვარს, მამა ადამს წარუდგნენ, როგორც ბაპტისტური ეკლესიის ანსამბლის წევრები და ნება ითხოვეს, ამ ეკლესიაშიც შეესრულებინათ თავიანთი საგალობლები, ნიშნად ქრისტიანული მეგობრობისა.

მათი მოსმენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვენ “მოგვიკაკუნეს” ნამდვილმა მუსიკოსებმა და კეთილმა მორწმუნეებმა. მას შემდეგ ანსამბლმა რამდენჯერმე შეასრულა ჩვენს ტაძარში სასულიერო ხასიათის ნაწარმოებები.

ამჟამად ამ ხუთმა მომღერალმა შექმნა ანსამბლი “კანტიკა” ლუდმილა მაჩაბლის ხელმძღვანელობით.

2008 წლის 21 სექტემბერს, წირვის შემდეგ, ანსამბლმა “კანტიკამ” შესანიშნავი კონცერტი გამართა წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარში. თითქმის ერთი საათის განმავლობაში მსმენელთა ყურს ატკობდა გულშიჩამწვდომი ჰანგები ბახის, მოცარტის, მარტინის, ლოტის, პალესტრინას, ბორტინანკისა და ლეონტოვიჩის ნაწარმოებებიდან.

მშვენიერმა, მსუბუქმა, სუფთა და ამაღლებებელმა ხმიანობამ აავსო ტაძარი. ღმრთისადმი მიძღვნილი ქება და ვედრება, ღოცვა და სამადლობელი ცვლიდა ერთმანეთს.

სხვადასხვა ქვეყნის, ეპოქის, სტილის კომპოზიტორები და სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, პროფესიის ადამიანები ანსამბლ “კანტიკას” კონცერტის დიდებული ჰანგების მეშვეობით ერთ დიდ და ნათელ მთლიანობაში მოექცნენ.

კარინა ოსიპოვა

აქტუალური თემა

რატომ უნდა იყოს გამიჯნული ეკლესია და სახელმწიფო

იოზეფ რაცინგერი – ბენედიქტე XVI

ნაწევები ნაშრომიდან

“ღმრთისმეტყველება და ეკლესიის პოლიტიკური პოზიცია”

ჩვენ უნდა გვქონდეს მკაფიო წარმოდგენა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ეკლესიას პოლიტიკური სფეროს მიმართ. ამ საკითხთან მიმართებაში საფუძვლისეულ კრიტერიუმად რჩება ქრისტეს სიტყვები: “მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს – ღმრთისა” (მათ. 22,21). ამ სიტყვებით გადაიშალა პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების ისტორიის ახალი გვერდი. მანამდე ტრადიცია ხელისუფლებას საკრალურ ხასიათს ანიჭებდა. ცნობილია, რომ გვიანანტიკურ სამყაროში არსებობდა თავისუფალი რელიგიური ჯგუფები, რომლებიც მისტერიულ კულტებს აღიარებდნენ. ამ კულტების მიმზიდველობა დამოკიდებული იყო მათთვის სახელმწიფო რელიგიის სტატუსის მინიჭებაზე; მათდამი პატივისცემა ეფუძნებოდა იმ წინაპირობას, რომ

სახელმწიფოა უზენაესი საკრალურობის მატარებელი. ეს იცავდა და ამყარებდა სახელმწიფო კანონებით დადგენილ ეთიკურ ნორმებს. ამგვარად, საზოგადოება კანონმორჩილების გარანტიას იძლევა, ხოლო თავად სახელმწიფოს ნება იძენს წმიდა, ღმრთაებრივი და არა ადამიანური ნების ხასიათს; თუკი სახელმწიფო კანონები ღმრთაებრივია, ისინი უპირობოდ და უდავოდ უნდა ვრცელდებოდეს ყველა ადამიანზე.

ადამიანის მიმართ სახელმწიფოს მოთხოვნათა გაიგივება ღმრთაებრივი ნების საკრალურ მოთხოვნებთან დაძლეულ იქნა იესოს ზემოხსენებული გამოხატულებით. ამავე დროს, აქ ეჭვქვეშ დგება ძველი სამყაროს მიერ ნალოლიავები სახელმწიფოებრიობის იდეა და სრულიად გასაგებია, რომ ძველი სამყაროს სახელმწიფოებრიობამ ეს გამოწვევა აღიქვა როგორც საკუთარი არსებობის საფუძველზე თავდასხმა, რომელიც სიკვდილით დასჯას იმსახურებდა: თუკი იესოს სიტყვები ჭეშმარიტი იყო, რომის იმპერიის სახელმწიფოებრიობა ვეღარ იარსებებდა იმ საფუძვლებზე, რომლებზედაც მანამდე არსებობდა.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ სწორედ სახელმწიფო და საკრალურ ხელისუფლებათა გამიჯვნა და ამ გამიჯვნაში არსებული ახალი დუალიზმია თავისუფლების დასავლური იდეის წყარო და ურყევი საფუძველი. ამ მომენტიდან გაჩნდა ორი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ არა იდენტური საზოგადოება, რომელთაგან არც ერთს არ გააჩნია აბსოლუტური ძალაუფლება. სახელმწიფო მეტად აღარ არის მატარებელი რელიგიური ავტორიტეტისა, რომელიც ადამიანური სინდისის სიღრმეებს მიმართავს და თავის ზნეობრივ მოთხოვნათა დასამკვიდრებლად სხვა საზოგადოებას მიმართავს. თავის მხრივ ეს საზოგადოება, ანუ ეკლესია, საკუთარ თავს მოიაზრებს როგორც უზენაესი და საბოლოო ზნეობრივი ავტორიტეტის მატარებელს, თუმცა ეს ავტორიტეტი დამოკიდებულია ნებაყოფილობით მიმდევრობაზე და ეკლესიის ხელთ არსებული ზემოქმედების მეთოდები წმინდა სულიერი და არა სამოქალაქო-სამართლებრივია სწორედ იმიტომ, რომ ეკლესია მოკლებულია იმ სტატუსს, რომელიც აქვს სახელმწიფოს და საყოველთაოდ აღიარებულია.

ამრიგად, ორივე საზოგადოება არსებობს თავის მკაცრად შემოსაზღვრულ სფეროში და თავისუფლება მათი ურთიერთდამოკიდებულების წონასწორობაზეა დამოკიდებული. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს წონასწორობა ხშირად ირღვეოდა, რომ შუა საუკუნეებში და ახალი დროის განთიადზე ეკლესიისა და სახელმწიფოს ფუნქციები არცთუ იშვიათად ისე აღრეულა, რომ ჭეშმარიტებისკენ რწმენისეული მოწოდება ძალდატანებით იცვლებოდა და იმის კარიკატურად იქცეოდა, რისკენაც სინამდვილეში ისწრაფოდნენ ეკლესია და სახელმწიფო. მაგრამ ყველაზე ბნელ პერიოდებშიც რწმენის ფუნდამენტურ მოწმობებში გამოცხადებული თავისუფლების იდეალი იყო ის ავტორიტეტი, რომელსაც მიმართავდნენ, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ სამოქალაქო-სამართლებრივ და მორწმუნეთა საზოგადოებათა აღრევისთვის; რომელიც აღვიძებდა სინდისს და მოუწოდებდა ძალაუფლების ავტორიტეტის გამიჯვნისკენ. ამრიგად, თავისუფლების თანამედროვე იდეა ქრისტიანობის კანონიერი პროდუქტია. სხვა ვერაფერი მოახდენდა გაგლენას მის ფორმირებაზე. სამართლიანობისთვის უნდა დავამატოთ, რომ თავისუფლების იდეას ვერ გამოვეყოფთ ქრისტიანული გარემოსაგან და ვერ მოვახდენთ მის ტრანსპლანტაციას ნებისმიერ სხვა სისტემაში, რასაც ცხადაჰყოფს ისლამური რენესანსი; ისლამურ საზოგადოებაში ქრისტიანულ საფუძვლებს მოკლებული ეგრეთწოდებული დასავლური სტანდარტების დანერგვის მცდელობა ეფუძნება ისლამის შინაგანი ლოგიკის არამართებულ გაგებას – ასევე იმ ისტორიული ლოგიკისა, რომელსაც დასავლური სტანდარტები ეკუთვნის – და ამრიგად ეს მცდელობა განწირულია. თავისი სტრუქტურით ისლამური საზოგადოება

თეოკრატიულია და ამიტომ მონისტური; მისთვის მიუღებელია დუალიზმი; დუალიზმი, რომელიც წარმოადგენს თავისუფლების წინაპირობას, ქრისტიანულ ღოგიას გულისხმობს. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ იქ, სადაც ამა თუ იმ ფორმით არსებობს ეკლესიისა და სახელმწიფოს, საკრალური და პოლიტიკური ავტორიტეტების დუალისტური გამიჯნულობა, არის თავისუფლების ფუნდამენტური წინაპირობა.

იქ, სადაც ეკლესია სახელმწიფოდ იქცევა, თავისუფლება ქრება. მაგრამ თავისუფლება ქრება მაშინაც, როცა ეკლესიას ერთმევა საზოგადოებრივი ავტორიტეტი, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფოს კვლავ უნდება ზნეობრივ საკითხთა ერთპიროვნული განსჯის პრეტენზია. ცხადია, საერო პოსტქრისტიანულ სამყაროში ეს არა ხელისუფლების საკრალიზაციის, არამედ იდეოლოგიური მართვის ფორმით ხდება. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო იქცევა პოლიტიკურ პარტიად და იმდენად, რამდენადაც ამ მომენტიდან შეუძლებელია სახელმწიფოს სწორი ავტორიტეტის არსებობა, იგი ტოტალიტარული ხდება, ანუ იძენს სრული ძალაუფლების ავტორიტეტს. იდეოლოგიური სახელმწიფო ტოტალიტარული სახელმწიფოა; იგი აუცილებლად გახდება იდეოლოგიზირებული, თუკი არ იქნება გაწონასწორებული თავისუფალი და საზოგადოების მიერ აღიარებული სინდისის ავტორიტეტით. როდესაც არ არის ამგვარი დუალიზმი, ტოტალიტარული სისტემის წარმოქმნა გარდაუვალია.

ჩემი აზრით, ამით ამოიწურება ეკლესიის პოლიტიკური პოზიციის ფუნდამენტური ამოცანა; მის მიზანს უნდა წარმოადგენდეს დუალისტური სისტემის, როგორც თავისუფლების საფუძვლის წონასწორობის შენარჩუნება. ამრიგად, ეკლესია ვალდებულია წამოაყენოს თავისი მოთხოვნები საზოგადოებრივი კანონების მიმართ და არ დარჩეს ადამიანური ცხოვრების პირადი სფეროს ჩრდილში. მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია ზრუნვა იმაზე, რომ ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნული რჩებოდეს, ეკლესიის წევრობა კი ნებაყოფილობითი იყოს.

ამით თავის ფუნდამენტურ პრინციპებში ასევე განისაზღვრება ეკლესიის პოლიტიკური პოზიციისა და ღმრთისმეტყველების ურთიერთკავშირი. ეკლესიის პოლიტიკური პოზიცია არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ ეკლესიის ძალაუფლების გამყარებისკენ; ზემოთაღნიშნულის თანახმად, ამგვარი მიდგომა სრულიად ეწინააღმდეგება ეკლესიის ჭეშმარიტ ბუნებას და ამრიგად უპირისპირდება ეკლესიის პოლიტიკური პოზიციის ზნეობრივ შინაარსს. აქ გადამწყვეტი როლი საღმრთისმეტყველო გაგებას ეკუთვნის და არა ძალაუფლებისა და გავლენის გაძლიერების იდეას.

ჩვენი წინამდებარე გამოკვლევის გათვალისწინებით ღმრთისმეტყველებასთან მიმართებაში უმთავრესად დუალისტური სტრუქტურის შენარჩუნებაზე უნდა ვიზრუნოთ; ეკლესიის სახელისუფლო ინსტიტუტისთვის ღმრთისმეტყველება არ უნდა გახდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანალოგი – ორგანო, რომელიც პარტიულ ძალაუფლების მიღწევის იდეოლოგიასა და სტრატეგიას შეიმუშავებს. როგორც დავადგინეთ, ეკლესია მოიაზრებს საკუთარ თავს როგორც აქტუალურ სფეროს, რომელიც გონებას აზრის ძიებაში ეხმარება.

შესაბამისად, მან, ერთის მხრივ, უნდა მოარიდოს გონება აბსტრაქტულ დამოუკიდებლობას, რომელიც ფიქტიური ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, პატივი უნდა სცეს გონების უფლებას, დასვას კითხვები საგნებზე, რომლებიც რელიგიის სფეროს ეკუთვნის. ისევე, როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების სფეროში, აქაც აქტუალურია დუალიზმის, როგორც ნაყოფიერი და ფუნქციონალური ურთიერთობების შენარჩუნების საკითხი. როგორც წინა შემთხვევაში, ამ ურთიერთობებმა შეიძლება განიცადოს ფუნდამენტური დამახინჯების ორი სახეობა. ერთი ასეთი ვარიანტი იქნეს თავს,

როდესაც საეკლესიო ხელისუფლება უგულბელყოფს ღმრთისმეტყველების ავტონომიას და უტოვებს მას მხოლოდ იმის დამადასტურებელი საბუთების მოძიების ფუნქციას, რასაც ეკლესიის მოძღვრება ამტკიცებს. ამ შემთხვევაში ღმრთისმეტყველება პარტიული იდეოლოგიის დონემდე ეცემა. მეორე დამახინჯება ჩნდება მაშინ, როდესაც ღმრთისმეტყველება განიხილავს ეკლესიას როგორც დამხმარე ორგანიზაციას, რომელიც მოკლებულია სულიერ შინაარსს. ამ შემთხვევაში იგი მეტად აღარ გადმოსცემს ცოცხალი საზოგადოების სულიერ საფუძვლებს; აქ მისი აქტიური აგენტი ცალკეული მეცნიერ-მკვლევარის კერძო მამოძრავებელი მიზეზია, ეს კი ნიშნავს, როგორც უკვე იქნა ნახვევები, რომ ღმრთისმეტყველება იქცევა ან პოზიტივიზმად, ან იდეოლოგიად. მაგრამ მაშინ იგი უკვე აღარ არის ღმრთისმეტყველება. ეს ნიშნავს, რომ სრული ავტონომიის მიღწევისას იგი უფრო მაღალ დონეზე კი არ გადადის, არამედ მოისპობა როგორც ღმრთისმეტყველება. ყოველთვის, როდესაც ერთ-ერთი ხმა, იქნება ეს საეკლესიო ხელისუფლება თუ ღმრთისმეტყველება, კარგავს თავის ავტონომიას, მეორე მაშინვე კარგავს თავის არსებით შინაარსს.

თარგმნა რუსუდან ავალიშვილმა

სახლი დაკარგეს თუ მოქალაქეობა?

გზას დავადექით. ძველი ავტობუსით გავემგზავრეთ, რომელსაც, გეგონებოდათ თავად მასზე უფრო მოძველებული მოდელის ძრავა ეყენა... როგორც კი დაიძრა და სინაქარე 60 კმ-მდე ჩართო, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა თითქოს ინერციით მიდიოდა...

სწორედ ამ ავტობუსს მიჰყავდა თბილისიდან გორში ქართველები და მათთან ერთად ორი უცხოელი – იტალიელი. სწორედ ის ორი იტალიელი, რომლებმაც რამდენიმე დღით ისევ გადაწყვიტეს შესვლა რუსეთის ჯარების მიერ კონტროლირებად ე.წ. “ბუფერულ ზონებში”, რომელიც სულ ორი ფეხის ნაბიჯზეა თვითგამოცხადებული ოსეთის დედაქალაქ ცხინვალიდან, უფრო ზუსტად კი სოფ. ნიქოზიდან.

ნიქოზი, ერთ-ერთი იმ მრავალი ქართული სოფლიდან, რომლებიც ავგისტოს ომის დროს სამიათასმა მკვიდრმა მიატოვა, რათა გაქცეოდნენ რუსეთის არმიის დაბომბვებს.

დღეს ნიქოზი მოჩვენებას გაეს, აქ მხოლოდ 250-მდე ხანდაზმულია დარჩენილი, საშუალო ასაკი 70 წელი. ისინი სიდატაკეში ცხოვრობენ, იზოლირებულად, ორ რუსულ ბლოკს შორის მოქცეულნი...

ოსები, ანუ უფრო სწორად, სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მთავრობის მიერ შექმნილი სამხედრო ბანდები უქმნიან მათ საფრთხეს დილა-სადამოობით, აშინებენ და ძარცვავენ მთელი სარჩო-საბადლისაგან. განსაკუთრებით კი ცდილობენ მთლიანად გაწმინდონ სოფელი მათგან: “წადით თქვენს საქართველოში!”, – ეუბნებიან მათ.

მოდით, ორი ნაბიჯით უკან დავიხიოთ.

გორისკენ მიმავლ გზაზე ავტობუსის დაბურული ფანჯრიდან მოჩანს დიდი კონტეინერის მსგავსი ნაგებობები; აქ ახალი ქალაქი შენდება. მთავრობამ გადაწყვიტა, რომ საერთაშორისო დახმარებებით აუგოს სახლები მათ, ვინც ვეღარ დაუბრუნდება საკუთარ სოფელს.

ჩემი და ფაბრიციოს (ჩემი თანამეგზური, რომელიც მონაწილეობს პაპი იოანე XXIII საკრებულოს არაძალადობრივი მშვიდობის კორპუსის “ოპერაცია მტრედში”) ფიქრები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე ნანახსა და განცდილს უბრუნდება; უკანასკნელი მათ შორის გუშინდელი სადამო იყო, თბილისში ნანახი დევნილთა ქალაქი: ამ ხალხის მომავალი სხვებმა გადაწყვიტეს, ისინი

ველარ დაუბრუნდებიან საკუთარ კერას და ასე, არა მხოლოდ საკუთარ სახლს, არამედ საკუთარ ისტორიას და თვითმყოფადობას დაკარგავენ... ეს ადამიანები თითქოს საკუთარ მოქალაქეობასაც კარგავენ.

სწორედ თბილისში გვეუბნებოდნენ დევნილები, რომ სულაც არ სურდათ სხვა სახლი, უბრალოდ „საკუთარი“ სახლი უნდოდათ... ამას ევედრებიან ყოველდღიურად ღმერთს. და როდესაც შევეკითხეთ თუ თხოვეს ეს მთავრობას, თავი დააქნიეს და ასეთი პასუხი გაგვცეს: “მაინც ღმერთს შევთხოვთ”.

თითქოსდა მიხვდნენ, რომ ეს არის ისტორია, რომელიც აღარ დაბრუნდება, რომ ვიღაც სხვამ უკვე გადაწყვიტა მათი ბედი. ისინი გაცოცხლებულნი დარჩნენ, როდესაც ვუთხარი, რომ მეორედ შევდიოდით ოსეთში. მოგუყვებით, რომ ნიქოზში მოვინახულეთ დარჩენილები და რომ ბევრი ახალგაზრდა დღისით მალულად გადადის სამხედრო ბლოკს იქით და შეღამებისას უკან – საქართველოში ბრუნდება (ოსების შიშით, რომლებიც ღამით ჰაერში ისვრიან): გაცოცხლებული იყვნენ, რადგანაც ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ზონაში შესვლა შეუძლებელია (მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე).

და ჩვენი განცხადება ერთგვარი პროვოკაცია იყო, რომელმაც თავსატეხი გაგვიჩინა: მაშინ ჩვენც წავგიყვანეთ, როგორც კი შესაძლებელი იქნება, ჩვენთან ერთად დაბრუნდით იქ! – გვთხოვდნენ ლტოლვილები.

ოსეთში ჩვენი შესვლით არა მარტო დევნილები გაცოცხლდნენ, არამედ თბილისში ჩამოსული დიდი და პატარა ორგანიზაციები, ასევე გაცოცხლებით გვეკითხებოდა ჩვენი იტალიის საელჩო: “როგორ მოახერხეთ? იქ ვერავინ შედის!” დღეს ჩვენ ისევ შეგვიძლია სამხრეთ ოსეთში, რატომ ვბრუნდებით ჩვენ, ორი იტალიელი ნიქოზში? ახალგაზრდა ნიქოზელები სადამოლობით არ რჩებიან სახლებში (რამდენიმე გაბედულს თუ არა ჩავთვლით), ეშინიათ. მოხუცებმა გვითხრეს, მათთან რომ გვეცხოვრა მაშინ უფრო დაცულად იგრძნობდნენ თავს და ახალგაზრდებსაც მეტი გამბედაობა ექნებოდათ, იქ ღამის გასათევად. აი ეს არის ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი.

როგორც კი სოფელში მივედით, მოკლე ხანში, მართლმადიდებელ ეპისკოპოსთან ერთად, რომელიც თავის ბერებთან ერთად ხალხის გვერდით დარჩა, მოხუცები მყისვე დატრიალდნენ და ღამის გასათევი გამოგვინახეს. გაუხარდათ ჩვენი დანახვა. მიუხედავად იმისა, რომ 70 პროცენტი სახლებისა მიტოვებული იყო და დაახლოებით 20 პროცენტი დანგრეული, ერთ-ერთმა ოჯახმა თავისი სახლის ზედა სართული შემოგვთავაზა. აშკარად ჩანდა ძარცვის კვალი, მინები დამსხვრეული იყო აფეთქებების გამო. სახლის პატრონმა მალევე დააღაგა და გაგვიმზადა ოთახი. სოფელში დარჩენილები, აგვისტოდან მოყოლებული საკუთარი სახლის ზედა სართულებზე კი არ იძინებენ, არამედ პირველ სართულზე, გვეუბნებიან, რომ ასე უფრო საიმედოა. ამასთანავე, ბევრი მოხუცი სადამოლობით სოფლის შუაგულში რომელიმე სახლში იკრიბება და ერთად ატარებენ ღამეს და ასე ამარცხებენ შიშს შეიარაღებული ადამიანების წინაშე, რომლებიც მათ ემუქრებიან.

ერთ საღამოს ვახშმად ერთ-ერთ ხანდაზმულ წყვილთან ვიყავით, შუქიც არ იყო და მე და ფაბრიციო დასაძინებლად წავედით, მაგრამ მთელი ღამე ძილი არ მოგვკარებია: გამთენიის სამ საათამდე უსასრულოდ ისმოდა სროლები, ტყვიები ჩვენი სახლის სახურავს გადაუვლიდნენ და ცაზე თავიანთ კვალს ტოვებდნენ. ზოგჯერ ჩვენი საცხოვრებელიდან ასიოდე მეტრის დაცილებით ისროდნენ, სახლი კი ერთ კილომეტრით იყო დაშორებული ცხინვალიდან. ამ ღამით რაღაც დოზით ჩვენც შევიგრძენით ის, რასაც ეს ხალხი ყოველ ღამე გრძნობს: შიში! მაგრამ უფრო მეტად ვიგრძენი საშინელი განცდა, რომ აქედან გაქცევა არ შემეძლო, არ იყო არანაირი ტრანსპორტი, და კიდევ რომ ყოფილიყო ვერ გამოვიყენებდი. განცდა, რომელმაც უფრო მეტად შემაცნო ის,

რასაც ეს ხალხი ყოველდღე განიცდიდა: გარემოება, რასაც ისინი კი არ ირჩევენ, არამედ მათზე თავსმოხვეულია.

ჩვენი იქ ყოფნა იყო პირდაპირი თანადგომის პატარა ნიშანი, მშვიდობის ერთი ნაბიჯი, ამჯერად არა მატერიალური კუთხით, თუმცა ამის საჭიროებაცაა და ეს ფაქტორი ბევრ უცხოელს იზიდავს კონფლიქტის ზონაში. ეს იყო თანადგომის ნიშანი, რომელიც გვინდა, რომ ამ საგუშაგოს იქითა მხარესაც მივიტანოთ, 5 წუთის სავალზე რომ არის ჩვენგან. დიახ, რადგანაც ცხინვალის ოსები, მოხუცი ქალები და ბავშვები იმ ღამით იგივეს განიცდიდნენ და გრძნობდნენ, რასაც ჩვენ.

ჯანპიერო კოფანო
იოანე XXIII-ის საკრებულოს წევრი

ინტერვიუ

ინტერვიუ საფრანგეთის ელჩთან
საქართველოში ერიკ ფურნიესთან

საფრანგეთის ელჩი საქართველოში ბატონი ერიკ ფურნიე თავის ოჯახთან ერთად საკათედრო კათოლიკური ეკლესიის საკრებულოს წევრია. მას ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი. სპეციალობით აღმოსავლეთმცოდნეა. 1999-2002 წლებში მსახურობდა ნიუ-დელიში, ინდოეთი, 2002-2004 წლებში - მოსკოვში, 2005-2007 წლებში - საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტში. 2007 წლიდან კი საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია საქართველოში. მან დიდი როლი ითამაშა ამა წლის აგვისტოში მომხდარი კონფლიქტის შეჩერებაში. დღესაც საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლები ყურადღებით ეკიდებიან იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებს. საფრანგეთის ერთ-ერთ კათოლიკურ გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ ერიკ ფურნიესთან. მან თანხმობა მოგვცა ამ ინტერვიუს ჟურნალ „საბა“-ში გადმობეჭდვაზე.

როგორი რეაქცია მოჰყვა ფრანგული დიპლომატიის მხრიდან რუსეთის მიერ ამა წლის 26 აგვისტოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას? სანამ ვისაუბრებ ფრანგული დიპლომატიის რეაქციაზე უნდა შეგახსენოთ, რომ დისკუსია ამ ტერიტორიების სტატუსის შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოში უკვე ჩვიდმეტი წელიწადი მიმდინარეობს. ეს ძალზე რთული საკითხია. საბჭოთა კავშირის დაშლისა და აფხაზეთში ომის დამთავრების შემდეგ გაერო ცდილობს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხის მშვიდობიან მოგვარებას. ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება რუსეთის დუმის მიერ ნაჩქარევად იყო მიღებული, მაშინ როცა საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გეგმით გათვალისწინებული იყო ამ რეგიონში უშიშროებისა და სტაბილურობის საკითხის ირგვლივ საერთაშორისო დისკუსიების ჩატარება. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად რუსეთის გადაწყვეტილებისა, ამ რეგიონში უშიშროებისა და სტაბილურობის საკითხი ღია რჩება. ეს ეხება როგორც კავკასიის მოსახლეობის, აგრეთვე აირისა და ნავთობის კომუნიკაციების და საქართველოს პორტების დაცვას.

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან პასუხია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე? მოსკოვი ამას არც მაღავს. დიახ, ეს პირდაპირი პასუხია.

რატომ მოხდა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი საერთაშორისო სამართალის მიხედვით ნაკლებად სადავოა, ვიდრე კავკასიის ამ ორი რეგიონის აღიარება?

კავკასიის ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება მოხდა სამხედრო ოპერაციის ჩატარების შემდეგ, როცა რუსეთმა სუვერენული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. მოვლენები ერთმანეთის მიყოლებით განვითარდა: კონფლიქტი, კონფლიქტის შემდგომი პერიოდი, პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის შესახებ, რაც შემოფოთებას იწვევს. კოსოვოს რაც შეეხება, პროცესი გაცილებით უფრო ხანგრძლივი იყო. მსოფლიო საზოგადოება დისკუსიებს წლების განმავლობაში მართავდა... სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება იყო მოულოდნელი და ნაჩქარევი. სწორედ ამაშია განსხვავება.

თქვენ თქვით, რომ დარტყმა რუსეთმა განახორციელა, მაგრამ ამბობენ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები და თავს დაესხა ოსეთს...

ქართველები ამას არ მალავენ. პრეზიდენტი სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე აღიარებენ ამას, მაგრამ აგრეთვე ამბობენ, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პროვოკაციები რუსეთის მხრიდან ძალზე გახშირდა და რომ სამხრეთ ოსეთის ქართველი მოსახლეობისთვის სიტუაცია გაუსაძლისი გახდა... ორივე მხრისთვის დამაბუღლობამ აშკარად იმატა.

რუსეთის მხრიდან პროვოკაციების გაძლიერება ომისთვის მზადება იყო?

დიახ, ისინი ელოდნენ სამხედრო მოქმედებას საქართველოს მხრიდან, რათა შემდგომში რეაგირება მოეხდინათ, რაც განახორციელეს კიდევ. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა. რუსეთს სურდა "პროდასავლურ" და "პროამერიკულ" საქართველოსთვის ძალის დემონსტრირება მოეხდინა და, ამის გარდა, "მესიჯი" გაეგზავნა საერთაშორისო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის: "თუ თქვენ თავს გვესხმით, ჩვენ რეაგირებას ვახდენთ, ჩვენ ისევ დიდი და ძლიერი ქვეყანა ვართ". ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საზღვრის ორივე მხარეს გარკვეული მოძრაობა შეინიშნებოდა. რუსეთმა თავისი სადესანტო ნაწილი აფხაზეთში განლაგა, სამხრეთ ოსეთში კი ჯავის ბაზა გაამაგრა... რუსეთი, რა თქმა უნდა სამხედრო ოპერაციისთვის ემზადებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტის ქმედება უპასუხისმგებლო იყო?..

მე მგონია, რომ საქართველოს მხრიდან ეს ოპერაცია მეტ-ნაკლებად იმპროვიზირებული იყო.

მიიღო თუ არა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაპირება დახმარების თაობაზე ამერიკის ან სხვა სახელმწიფოების მხრიდან?..

რამდენადაც ჩემთვის ცმობილია, არა. ჩვენ - ამერიკელები და ევროპელები - მრავალგზის ვაფრთხილებდით ამ საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ: მაისში, ივნისში, ივლისში. საქართველოს ხელისუფლებამ გვიპასუხა, რომ არ აპირებს სამხედრო მოქმედებების დაწყებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ

ბევრად უფრო სერიოზული იქნებოდა საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტის შესაძლებლობის მოძებნა.

შეიძლება თუ არა დღეს ვიფიქროთ მოსკოვთან დიალოგის შეწყვეტის თაობაზე და რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციების მიღებაზე?

დღეს საუბარი არ არის მოსკოვთან დადებულ ხელშეკრულებების გაუქმებაზე. ევროპის უშიშროების საბჭოს ფარგლებში საფრანგეთი და რუსეთი პოლიტიკური პარტნიორები არიან, აგრეთვე საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთობა - ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნისა და ცალკე აღებული სახელმწიფოს ურთიერთობაა. ჩვენ ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ იმისთვის, რომ სტაბილურობა დავამყაროთ და კავკასიის რეგიონის მომავალი უზრუნველყოთ. არ შეიძლება კარები მივიხუროთ და განვაცხადოთ: "ევროპას არ აინტერესებს თუ რა ხდება შავი ზღვის მეორე მხარეს". ეს შეუძლებელია მრავალი მიზეზის გამო: უპირველეს ყოვლისა, ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემებიდან გამომდინარე. რაც შეეხება საქართველოს, რომელიც ჩვენთან ახლოს მდებარეობს, აუცილებლად უნდა გამოიძებნოს მშვიდობიანი თანაარსებობის გზები როგორც რუსეთთან, აგრეთვე თურქეთთანაც და დამყარდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩვენი მხრიდან ყოველივე ამისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო...

თქვენ ევროპის შესახებ საუბრობთ, მაგრამ ევროკავშირის ოცდაშვიდ წევრ ქვეყანას შორის ერთსულოვნება არ არის.

მე მინდოდა მესაუბრა არსებითზე, სწორედ არსებითზე. კონფლიქტის შეჩერება ოთხ დღეზე ნაკლებ ვადაში არასოდეს მომხდარა, სამ დღეზე ნაკლებ ვადაში ჯერ არ მომზადებულა და ხელმოწერილი არ ყოფილა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, ხოლო შვიდი დღის განმავლობაში სიტუაცია არასდროს მოგვარებულა. ეს მოხდა ევროკავშირის ქვეყნების ერთიანობის წყალობით. ის ფაქტი, რომ ევროკავშირმა მიაღწია ამგვარ შედეგს, მიუხედავად აზრთა სხვაობისა - საოცარი მიღწევაა. შემიძლია განვაცხადო: როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა (სარკოზიმ) შეთანხმებას მიაღწია, საქართველოს ემოციური პასუხი მძაფრი იყო...

კონფლიქტის დროს თქვენ არ მოერიდეთ "ქუჩაში გასვლას", ქართულ მოსახლეობას ესაუბრებოდით, ბლოკპოსტებზე რუს სამხედროებთან კამათობდით. ელჩისთვის ეს ჩვეულებრივი ნაბიჯი როდია. უმრავლესობის წარმოდგენაში ელჩი ის ადამიანია, რომელიც ოფიციალურ მიღებებზე დახვეწილი სიტყვით გამოდის, ან კაბინეტში დოკუმენტებში აქვს თავი ჩაფლული. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ თქვენ ფრანგულ დიპლომატიაში გამორჩეული პიროვნება ბრძანდებით?

მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი, ბოლო დროს ჩვენმა პროფესიამ ცვლილება განიცადა. ელჩად ყოფნა უკვე არ ნიშნავს სალონში იჯდე და მშვიდობისა და თანხმობის მიღწევის თაობაზე ისაუბრო, არამედ ნიშნავს სავსე პირობებში იმყოფებოდე და ანუგეშო მოსახლეობა. ამ კრიზისში ჩემი როლი მარტივი იყო. როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელს, მე მხოლოდ უნდა მეთქვა: შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მიღწეულია! მაგრამ აგრეთვე მევალებოდა ადგილზე შემოწმება, სრულდება თუ არა აღნიშნული შეთანხმება. და მართლაც, ყოველდღე ვამოწმებდი, რამდენად სრულდება რუსი სამხედროების მიერ შეთანხმების პირობები. რუს კოლეგებთან მიმართებაში ყოველთვის ღიად ვმოქმედებდი. როდესაც რუსებმა და ქართველებმა ვერ მოილაპარაკეს ტყვეების

გაცვლის თაობაზე, მე თვითონ, საქართველოს მთავრობის თხოვნით, გაცვლის ორგანიზება მოვახდინე. საელჩო ყველაფერს აკეთებდა მოსახლეობის დასახმარებლად, ჰუმანუტარულ დახმარებასაც არიგებდა... ვცდილობდი ლტოლვილების გასაჭირი გამეზიარებინა. როცა შევიტყვე, რომ ერთ-ერთ ქართულ სოფელში ორი ამერიკელი გოგონა (წარმოშობით ქართველები) თავის ბებიასთან ერთად იზოლირებულები აღმოჩნდნენ, მე თვითონ ჩავედი იქ, წამოვიყვანე და საელჩოში მივიყვანე, სადაც მათ ამერიკიდან ჩამოსული მამა ელოდებოდა.

დღესდღეობით რაში მდგომარეობს თქვენი მისია?

საქართველოს უნდა დავეხმაროთ ეკონომიკის გაძლიერებაში, მხარში ამოვუდგეთ ხალხს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ გადამეტებულმა რიტორიკამ მეტი დაპირისპირება და დამაბულობა არ გამოიწვიოს. ჩემი მთავარი მისიაა: მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე კონტროლში მონაწილეობა, რათა ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდეს... ბევრს არ სჯეროდა, რომ რუსები საქართველოდან გავლენ, მე კი მჯეროდა. საქმის წინ წაწევა თანდათანობით ხდება. ხალხთა შორის ნდობის აღდგენას დიდი დრო სჭირდება. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია. მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ.

ფრანგულიდან თარგმნეს
ალექსანდრა მარგველაშვილმა და მანანა სულაძემ

შენიშვნა:

“საბას” რედაქცია პასუხისმგებლობას იხსნის ინტერვიუში გამოთქმულ ზოგიერთ პოლიტიკურ მოსაზრებაზე.
მამა პიერ დიუმუელენმა შეამოწმა მოცემული მასალის თარგმანი.
ინტერვიუს სრული ვერსია ორიგინალის ენაზე შეგიძლიათ მოიძიოთ საიტზე www.pew.org. პელერინ.ინფო 29. 08. 2008 წ.

ინფორმაცია

საქართველოში ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას ახალი ხელმძღვანელები
2008 წლის 19 ოქტომბერს საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ხელმძღვანელად აკურთხეს პასტორი ჰანს-იოახიმ კიდერლენი, რომელიც საქართველოში ჩამოსვლამდე გერმანიის საგარეო სამსახურის დიპლომატიურ კორპუსში მოღვაწეობდა.

ჰანს-იოჰან კიდერლენს მიღებული აქვს თეოლოგიური განათლება და მრავალი წელი საეკლესიო საქმიანობაში გაატარა. იგი საქართველოში პირველად ერთი წლის წინ ჩამოვიდა, შეხვდა ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სელეს და მოიხიბლა საქართველოს სილამაზით. ამის შემდეგ კიდევ ერთი წელი იმსახურა კარაჩიში, პაკისტანში და შემდეგ, როდესაც საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ხელმძღვანელობა შესთავაზეს, სიამოვნებით დათანხმდა.

„საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის აღორძინება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი, პროფესორი გერტ ჰუმელი ჩვენი საერთო მოვალეობაა. რამდენადაც ეს ხელახალი დაფუძნება კეთილი ცვლილების მომასწავებელი იყო, ასევე იქნება სელეს ქუდაქვეშ აუცილებელი ცვლილებები ან წინსვლა უკვე გაკვალებულ გზაზე...“, – განაცხადა პასტორმა კიდერლენმა.

საქართველოში რომაული წესის კათოლიკეები ულოცავენ პასტორ ჰანს-იოახიმ კიდერლენს ამ საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნას და უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

განცხადება

23 ნოემბერი – იესო ქრისტე, სამყაროს მეფე – ახალშენის ეკლესიის დღესასწაული. 10 წელი ახალშენის ეკლესიის კურთხევიდან და 100 წელი სოფელ ახალშენის დაარსებიდან. დღესასწაული გაიმართება 22 ნოემბერს.

30 ნოემბერი – ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისი; ადვენტის I კვირადღე.

განუსვენე მათ, უფალო!

გიორგი მამუკაშვილი

დაიდუპა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რუსეთის საოკუპაციო ჯარების თავდასხმის დროს.

თამაზ კობერიძე

* 18. 07. 1987 წ. – გორი

† 9. 08. 2008 წ. – გორი

* 2. 04. 1972 წ. – ქ. გორი

† 11. 09. 2008 წ. – ივლიტა

ნიკოლოზ (ყაზარა) გაბელაშვილი

* 6. 08. 1937 წ. – ვალე

† 02. 10. 2008 წ. – ვალე

მანუშაკ მურადიანი

* 1. 05. 1934 წ. – ოზურგეთი

† 17. 09. 2008 წ. – ოზურგეთი

უსტიან ტონაგანიანი

* 15. 07. 1920 წ. – ნინოწმიდა, თორია

† 1. 09. 2008 წ. – ოზურგეთი

თამარა ჟამკოჩიანი

* 13. 07. 1936 წ. – სომხეთი

† 4. 09. 2008 წ. – ოზურგეთი

ახალგაზრდული გვერდი

ახალგაზრდული საბჭოს არჩევნები ვალეში

ორი წლის განმავლობაში საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდული საბჭოს წევრი ვიყავი. ამით ყოველთვის ვამაყობდი და, ამავე დროს, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი.

როგორც ყოველთვის, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ორი წლის წინ არჩეულმა საბჭომაც დაასრულა თავისი მისია. ჩვენ თითქმის ამოვწურეთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. იმედი გვაქვს, არ განგესჯით

იმისათვის, რისი გაკეთებაც ვერ შევძელით. გთხოვთ, დაინახოთ ის კარგი და დადებითი, რაც თქვენთვის გავაკეთეთ, ძვირფასო ახალგაზრდებო.

11 ოქტომბერს ვალეს ეკლესიაში ბევრმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი, რათა ახალი საბჭოს შემადგენლობა დაესახელებინათ და მათგან საუკეთესოები აერჩიათ. ეს დღე დაემთხვა ახლადგარემონტებული ვალეს ეკლესიის გახსნას და ახალგაზრდა წყვილის ჯვრისწერას. ეკლესია გადაჭედილი იყო მორწმუნეებით, განსაკუთრებით ახალგაზრდები ჭარბობდნენ. ყველანი გულისყურით უსმენდნენ მამა ზურაბის ქადაგებას.

ჯვრისწერის შემდეგ ახალგაზრდებმა დიდ დარბაზში მოიყარეს თავი. სამწუხაროდ, დაგეგმილი „თურქეთის მომლოცველობის“ ფოტოების ჩვენება ვერ მოხერხდა.

ჩვენთან სტუმრად იყვნენ ახალციხის, არალის, ხიზაბავრისა და აბასთუმნის ახალგაზრდები, მამა კარლო და და ჟოზეფინა, რომლებიც ახალ საბჭოზე პასუხისმგებელნი არიან, მამა იეჟი შიმეროვსკი და მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯი, მამა მიხეილ სურმავა, მონაზონი პასკალინა (წმ. ნინოს ორდენი), დიაკონი პაატა ქომოშვილი, აგრეთვე ახალგაზრდული საბჭოს ყოფილი წევრები.

მამა კარლომ და და ჟოზეფინამ ისაუბრეს მსახურებაზე, როგორც პასუხისმგებლობასა და სიყვარულზე. მამა მიხეილმა თავის მოწოდებაზე ისაუბრა და გაიხსენა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები, რამაც საბოლოოდ განამტკიცა თავის არჩევანში. პაატა ქომოშვილმა საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარა; ედო აკოფიანმა კი მოხალისეობის მოწოდებაზე ილაპარაკა (იგი უკვე სამი თვეა მოხალისეა ჩვენს ეკლესიაში).

ზოგადი შესავლის შემდეგ ჩატარდა ახალგაზრდული საბჭოს წევრების არჩევნები. სამხრეთ საქართველოდან ახალგაზრდებმა სამი კანდიდატი აირჩიეს: თეა მანგელიშვილი – ვალე, მაია დიდიმამიშვილი – ახალციხე, ქეთი ჩილინგარაშვილი – არალი.

წარმატებას ვუსუეებ მათ თავიანთ ახალ საპასუხისმგებლო მისიაში.

თამარიკო ჩიტაშვილი

„მე აგირჩიეთ თქვენ!“

რას ნიშნავს იყო არჩეული?! ყოველი ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს იწყებს ფიქრს: რატომ ვცხოვრობ? რას ველი ამ ცხოვრებისაგან? არის შემთხვევები, როდესაც იგი ვარდება განსაცდელში, არ იცის, რა უნდა ამ ცხოვრებისაგან, ვერ გადაუწყვეტია, რა გზას გაჰყვეს: არ უნდა იყოს ექიმი, მასწავლებელი, მღვდელი... იწყებს ფიქრს ჩაეჭიდოს იმ აზრს, რომ მას უნდა იყოს იურისტი და არა მღვდელი. ღმერთს კი მისი მღვდლობა სურს და ეუბნება: შენ სჭირდები ხალხს, როგორც მღვდელი. ადამიანი კი ემალება ამ მოხმობას და თავს აფარებს ცრუ მოწოდებას.

იესო ეუბნება მოწაფეებს: „მე აგირჩიეთ თქვენ!“ იესოს მოხმობაზე მოწაფეები ტოვებენ იმ ბადეებს, რომლებიც მათ ამ წუთისოფელთან აკავშირებს. ეს არის უდიდესი მაგალითი პირველი მოციქულებისა. თუმცა მოციქულებს შეეძლოთ ეთქვათ: თავი დაგვანებე, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, მაგრამ მათ საკუთარი ნებით თქვეს: „დიახ“.

“გამომყევი“, – ეს გამოძახილი 2000 წლის სიდრმეებიდან ყველგან ისმის. ყოველი საუკუნის ადამიანისათვის ისმოდა და ისმის ქრისტეს მოწოდება. რა თქმა უნდა, ხშირად ძნელია მიიღო მიიმე ჯვარი საკუთარ თავზე, უფრო ადვილია თქვა: მინდა ვიყო თავისუფალი ტანჯვიდან. იესო კი ამბობს: “ვინც დაკარგავს თავის სულს, ის შეინარჩუნებს მას“. ამის ძვირფასი მაგალითები

კათოლიკე ეკლესიას ჰყავს პირველი საუკუნის წამებულებიდან დაწყებული დღემდე.

ღმერთს სურს ყველა ადამიანის ბედნიერება, ამიტომ ყველას მოუწოდებს საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით. ბედნიერება მსხვერპლს მოითხოვს, რომელიც გაღებული იქნება სხვების სიკეთისათვის. უპასუხო ღმრთის მოწოდებას, ნიშნავს აიღო საკუთარი ჯვარი და იარო ქრისტეს ნაკვალებზე. შეუძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ არ ექნება პრობლემები მღვდლობის გზაზე ან – პირიქით. პრობლემები ყველგან არსებობს, მხოლოდ საჭიროა მათი თავმდაბლად მიღება, რომ სიყვარულით ატარო საკუთარი ჯვარი, რომელიც ქრისტემ სიყვარულის ხედ აქცია.

მოუსმინე ქრისტეს შენს გულში და უპასუხე – “დიახ”, სუფთა სინდისით და სიყვარულით, იმ სიყვარულით, რომელიც გადაარჩენს სამყაროს.

შოთა გიქოშვილი

მუდმივი დიაკვნობა ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიაში

საგანგებო ჩანართი

2006 წლის 26 ნოემბერს დაიხურა საქართველოში ჩვენი ეკლესიის სინოდი და გამოიცა წიგნი სხვადასხვა დადგენილებებით; მათ შორის დეკრეტის ერთ-ერთი მუხლი შემდეგს აცხადებდა: “დაიწეს მუდმივ დიაკონთა მომზადება, ეპისკოპოსის მიერ დამტკიცებული ფორმაციული გეგმის მიხედვით” (გვ. 57. პუნქტი 2); სწორედ ამ დეკრეტის საფუძველზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა კათოლიკურ სამრევლოდან წამოსული მამაკაცების ჯგუფი, რომლებიც უკვე მეორე წელია ემზადებიან მუდმივი დიაკვნობის მისაღებად იმ მიზნით, რომ ჩადგნენ ჩვენი ეკლესიის სამსახურში, როგორც კი ეპისკოპოსი მათ შესაფერისად ჩათვლის ამ მსახურების შესასრულებლად.

ჩვენი დღევანდელი ჩანართიც სწორედ ამ თემას ეძღვნება: **მუდმივი დიაკვნობა ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიაში.**

თავდაპირველად მიმოვიხილავთ ახალი აღთქმის ზოგიერთ ტექსტს და შევეხებით ზოგიერთ პატრისტიკულ მოწმობას და გვიანდელ მოწმობას ვატიკანის II კრების გადაწყვეტილებებამდე (1962-65), რომელმაც დაადგინა მუდმივი დიაკონია ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიაში, დაბოლოს, შემოგთავაზებთ ზოგიერთ მაგალითს, თუ როგორც ხორციელდება ხორცი მუდმივ დიაკვნობას მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში.

ტერმინი “დიაკონი” დიაკონოს – ჩვეულებრივ მიუთითებს დამხმარე პირზე, ასისტენტზე, მსახურზე, როგორც მატერიალური, ასევე სულიერები თვალსაზრისით. მას ხშირად ვხვდებით პატრისტიკულ ტექსტებში ღვთისმსახურის მნიშვნელობით. იგი ნახსენებია ახალი აღთქმის სხვადასხვა წიგნებში და საეკლესიო გადმოცემის უძველეს დოკუმენტებში.

წმ. პავლე ფილიპელთა მიმართ წერილს ასეთი მისაღმებით იწყებს: „ყოველ წმიდას ქრისტეს იესოში, რომელნიც ფილიპეში იმყოფებიან, ეპისკოპოსებითა და დიაკვნებითურთ“. ტიმოთეს მიმართ პირველ წერილში (3,8-10.12) ხაზს უსვამს დიაკონის იდეალურ ფიგურას: „დიაკვნებიც პატიოსნები უნდა იყვნენ, არა ორპირნი, ღვინოს ნაკლებად მიძალბებულნი, არა ანგარნი... ესენიც წინასწარ უნდა გამოიცადონ და შემდეგ, თუ უბიწონი იქნებიან, იმსახურონ. ასევე მათი ცოლებიც უნდა იყვნენ პატიოსნები, არა მამუზდარნი, კდემამოსილნი და ყველაფერში ერთგულნი. დიაკვანიც ერთი ცოლის ქმარი იყოს, შვილებისა და თავისი სახლის კარგი განმგებელი“.

მოციქულთა საქმეებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი განწესებულნი არიან სუფრის მსახურებისთვის და უნდა იყვნენ „*სარწმუნო, სულიწმიდით და სიბრძნით სავსენი*“ (6,3); სუფრის მსახურება შეიძლება იმას მიანიშნებდეს, რომ ისინი ევქარისტის მსახურებიც არიან; მეორე მხრივ, სულ მალე გამოჩნდება, რომ მათ შეუძლიათ ნათლისღების შესრულება (8,38). პირველები, რომელთაც ეს მისია დაეკისრათ, შვიდნი იყვნენ, ალბათ, იმის გამოც, რომ ებრაელთათვის შვიდი საკრალური რიცხვია; ამიტომაც არის ტრადიციაში შვიდი დიაკონი პაპის ირგვლივ. მოციქულთა საქმეებში, შერჩევის მომენტში მათ დიაკონის სახელით არ მოიხსენებენ, ეს ტერმინი მოგვიანებით შემოვა ტრადიციაში. ეგნატე ანტიოქიელი მაგალითად გარკვევით საუბრობს იერარქიის სამ საფეხურზე: ეპისკოპოსები, ხუცესები და დიაკონები. მანვე, წმიდა პავლეს მსგავსად, მიუთითა იმ თვისებებზე, რასაც დიაკონი უნდა ფლობდეს: იყოს დაუდგრომელი, არა ფუჭმეტყველი, არა მზაკერული, უანგარო, ზომიერი, გულმოწყალე და უფლის მსახურებაში ჩამდგარი.

ტერმინი ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს; მას ვხვდებით წმიდა მამათა მრავალრიცხოვან ნაწერებში და ისეთ ანტიკურ ტექსტებში, როგორიცაა *დიდაქე* და *მოციქულთა დიდასკალია*.

დიდაქეს ეპოქაში (130 წ.-მდე) „დიაკვნები ეკლესიის ცხოვრების იმ მხარეზე აგებდნენ პასუხს, რაც ქვრივ-ობოლთა მიმართ გამოჩენილ სიჭკველეში აისახებოდა... მათი საქმიანობა უთუოდ კატეხეზისებთან და სავარაუდოდ, ლიტურგიასთანაც იყო დაკავშირებული. თუმცა, ამ არგუმენტზე იმდენად მწირია ინფორმაცია, რომ გვიჭირს იმის გაგება, თუ სინამდვილეში რა იყო მათი მოვალეობების საყრდენი“. წმ. ეგნატე ანტიოქელი „*წერილში სმირნელ ქრისტიანებს*“ შემდეგს წერდა: „*გააყვებით ყველა ეპისკოპოსს, როგორც იესო ქრისტეს [მთევება] მამას, ხოლო ხუცესნი, როგორც მოციქულნი; რაც შეეხება დიაკონებს, პატივი ეცით მათ როგორც საღმრთო კანონს*“.

იპოლიტე რომაელის (დაბ. 235 წ.) *სამოციქულო ტრადიცია* „*პირველად წარმოგვიდგენს ეკლესიაში დიაკონის თეოლოგიურ და იურიდიულ სტატუსს. იგი მას მოიხსენებს ხელდასხმულთა ჯგუფში და ასე უპირისპირებდა მათ, რომლებიც იერარქიაში დაარსებულთა (ინსტიტუტი) სტატუსით არიან. ამგვარი კავშირი დიაკონის ფართო მოვალეობას განსაზღვრავს; იგი ეპისკოპოსის განკარგულებაში დგას, რათა მისი ბრძანებები შეასრულოს, თუმცა არ მონაწილეობს მღვდელთა საბჭოში*“. ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ, გარდა იმისა, რაც II საუკუნის დასაწყისიდან ყველა ეკლესია მიანიშნებდა დიაკვნობის არსებობაზე და, ასევე, მის საეკლესიო ხასიათზე, დიაკვნები თავიდანვე ყველგან ერთნაირ ფუნქციას ასრულებდნენ, თუმცა ის ყურადღება, რასაც ისინი სხვადასხვა ასპექტებისადმი იჩენენ, განსხვავებულად არის გადანაწილებული სხვადასხვა კუთხეში. დიაკვნობა თავის სტაბილურ სახეს აღწევს IV საუკუნეში. ამ ეპოქაში სრულდება ის პროცესი, რამაც დიაკვნობა საეკლესიო იერარქიის ერთ-ერთ საფეხურად დაადგინა, მოათავსა რა ეპისკოპოსთა და ხუცესთა შემდგომ და მიანიჭა კარგად განსაზღვრული როლი. რამდენადაც დიაკონი მჭიდრო კავშირშია ეპისკოპოსთან და მის მისიასთან, მისი როლი სამი მოვალეობით განისაზღვრება: ლიტურგიის მსახურება, სახარების ქადაგება და საღვთო სწავლება – კატეხეზისები, ასევე ფართო სოციალური მსახურება საქველმოქმედო და ადმინისტრაციული საქმეებით, ეპისკოპოსის მითითებების გათვალისწინებით.

დიაკვნები ჩართულნი არიან ასევე კრებებში. ნიკიას კრების (325) ერთ-ერთი კანონი შეგვახსენებს, რომ ეპისკოპოსები, ხუცესები და დიაკონები განწესებულნი არიან კონკრეტული ეკლესიის მსახურებაში და ამდენად, ერთი ქალაქიდან მეორეში არ უნდა გადადიოდნენ. იგივე კრება ადგენს იერარქიულ საფეხურებს შორის განსხვავებას. „*დიაკონები რჩებიან თავიანთ საზღვრებში, –*

აზუსტებს კრება, – *არიან რა ეპისკოპოსის მსახურები და მღვდლებზე დაბალ საფეხურზე იმყოფებიან*“.

ამავე ხანებში, პაპი სილვესტრე I იხსენებს, რომ არ უნდა მოხდეს ეპისკოპოსთა, ხუცესთა თუ დიაკონთა ხელდასხმა, თუკი ახალი მონათლულნი არიან. ქალკედონის კრება (451) განამტკიცებს მას, რაც ნიკიას კრებაზე გაცხადდა, ანუ იმას, რომ ვერავინ ეზიარება ხუცესისა თუ დიაკონის მსახურებას, თუკი ამა თუ იმ ადგილობრივ ეკლესიას არ ეკუთვნის. დიაკონსა და კონრეტულ ეკლესიას შორის კავშირზე საუბარი კვლავ განახლდა კონსტანტინოპოლის IV კრების კანონებში (869-870).

ნელ-ნელა იკვეთება დიაკონის როლი და ფუნქციები: ემსახუროს სუფრას, იქადაგოს (ეს უფრო იშვიათად), მონათლოს, წაიკითხოს სახარება, გასცეს ზიარება. სხვადასხვა მსახურებები ზოგადად სხვადასხვა კონკრეტულ ვითარებებთან კავშირში გადმოიცემა. მანამდე კი რომში, IV საუკუნეში, დიაკონია ანგარიშგასაწევ მსახურებად ითვლებოდა, რადგანაც ისინი ეკლესიის ქონებას განკარგავდნენ. მათი უფროსი, არქიდიაკონი, ეპისკოპოსის შემდგომ იდგა და იშვიათ შემთხვევაში, მისი მემკვიდრეც შეიძლებოდა გამხდარიყო.

V საუკუნეში, რომში დაახლოებით ასამდე დიაკონი იყო: მათგან იღებს სათავეს ე.წ. კარდინალი დიაკონები (*რომელთა სახელსაც რომის ზოგიერთი ეკლესია ატარებს „საკარდინალო დიაკონია“*). ამავდროულად, დასავლურ ეკლესიაში მათი რიცხვი ნელ-ნელა იკლებს, ლამის ტოტალურ გაქრობამდეც კი მიდის.

ტრიდენტის კრება (1545-1563) მკაფიოდ ისაუბრებს დიაკონობაზე და გაიხსენებს, რომ იგი მოციქულების მიერ იქნა დაარსებული, თუმცა მას იმ გზად მიიხსენეს, რომელიც მცირე ორდენებიდან გადადის მსხვილ ორდენებამდე და შედის სამღვდელოებაში.

ასე იქცევა დიაკონატი სამღვდელოებაში უკანასკნელ საფეხურად. დიაკონი რამდენიმე ტრადიციული ფუნქციით იქნება საკუთხეველზე პრესბიტერიუმის მსახური: შეუძლია გასცეს ზიარება, გამოიტანოს უწმინდესი საკრამენტო, მონათლოს ხალხი. მათ აცვიათ კუთვნილი ლიტურგიული სამოსი: სტოლა, ხუცესებისგან განსხვავებულად და დაღმატიკა. ასაკი და ცელიბატი დამოკიდებულია იმ ვითარებაზე, როცა დიაკონი სამღვდელო ხელდასხმისთვის ემზადება. ლატერანის I კრებამ (1123), სადაც მკაფიოდ იყო საუბარი სამღვდელო ცელიბატზე, იგი შესთავაზა დიაკვნებს და სუბდიაკვნებს, რომლებიც სამღვდელოებაში შესასვლელად ემზადებიან.

ტრადიციის განახლება

ვატიკანის II კრებამ კვლავ განაახლა დიაკონატის თემაზე საუბარი კონსტიტუციაში „*უმენ გენტიუმ*“, სადაც აღნიშნა, რომ ეს არის იერარქიაში ყველაზე დაბალი საფეხური და რომ დიაკონებზე ხელდასხმა ხდება არა „*სამღვდელოების, არამედ მსახურების მიზნით*“, რასაც ის აღასრულებს ლიტურგიის, ღვთის სიტყვისა და ღვთის ხალხის წინაშე. შემდეგ ტექსტი უფრო ნათლად საუბრობს დიაკონის ფუნქციაზე: „*ნათლობის საზეიმო აღსრულება, ევქარისტიის გაფრთხილება და გაცემა, ეკლესიის სახელით ჯვრისწერის მსახურება და კურთხევა, მომაკვდავებზე საგზლის მიტანა, საღვთო წერილის წაკითხვა, ხალხის განათლება და გამხსნელება, მორწმუნეთა ღოცებში და საკულტო მსახურებაში მორწმუნეთა გაძღოლა, საკრამენტების დაცვა-გაფრთხილება, მიცვალებულთა დაკრძალვა-დამარხვის რიტუალის შესრულება*“. შემდეგ მოდის მუდმივი დიაკონობის აღდგენის დეკრეტი, უკვე არა როგორც უბრალო საფეხურად: „*დიაკონატი მომავალში დადგინდება, როგორც იერარქიის პერმანენტული და საკუთრივი საფეხური*“. პაპთან თანხმობაში გამართული

ადგილობრივი საეპისკოპოსო კონფერენციები შემდგომში გადაწყვეტენ „თუ სად არის ხელსაყრელი დიაკონატის დაარსება სულთა სასიკეთოდ“.

საბოლოო გადაწყვეტილება დიაკონატის შესახებ შორსმომავალ მიზნებს აჩვენებს. ტექსტში ვკითხულობთ: „*უმაღლეს პონტიფიკთან თანხმობით დიაკონის ტიტული შეიძლება მიენიჭოს მომწიფებული ასაკის მქონე მამაკაცს, თვით ქორწინებაში მყოფს, ასევე სათანადოდ მომზადებულ ახალგაზრდას, რომლისთვისაც უცვლელად უნდა დარჩეს ცელიბატის კანონი*“.

ასე გადარჩებოდა საეკლესიო ტრადიციის ორი ასპექტი: ანტიკური ეკლესიის მუდმივი დიაკონატი, რომელშიც დაქორწინებული მამაკაცები შედიოდნენ; და ის მხარე, რაც ფართოდ გავრცელდა ლატერანის I კრების შემდეგ, რომელიც იმ დიდ ორდენს მიიჩნევდა სამღვდელოებაში შესწვლის წინაპირობად და დიაკონებისგან ითხოვდა ცელიბატს. მუდმივი დიაკონიის აღდგენის გადაწყვეტილებას კრების დარბაზში დიდი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია, თუმცა იყო შეკამათება და მწვავე დისკუსია, ჰიპოთეზი მუდმივ – *უხორატო* – დიაკონატზე, რამაც ისეთ აღთქმას დაუდო სათავე, რაც ეპისკოპოსთა რამდენიმე ჯგუფმა გააპროტესტა იმ ფორმის გამო, რითაც იგი კრებას შესთავაზეს.

ეპისკოპოსები, რომლებიც აპროტესტებდნენ დიაკონატში დაქორწინებული მამაკაცების მიღებას, აცხადებდნენ: მათ, რომლებმაც მოითხოვეს გადახედვა, თუ რამდენად შესაძლებელია დაქორწინებული მამაკაცების სამღვდელოებაში მიღება, – ვარაუდი, რომელიც არ გაითვალისწინა და უკუაგდო პონტიფიკატმა, – მიაგნეს ამ აკრძალვის გვერდისამღვლელ ხერხს, რითაც დაქორწინებულ მამაკაცებს გზა გაუხსნეს დიაკონატში, რათა მეორე ეტაპზე, საკრებულოსადმი გაწეული მსახურების და სამწყემსო საჭიროებების საფუძველზე, მოეხდინათ ამ დაქორწინებული დიაკონების სამღვდლო ხელდასხმა, თუკი ისინი ამას მოითხოვდნენ.

თუმცა კრების ტექსტში ცვლილებები არ შეუტანიათ.

მუდმივი დიაკონატი, „მსახურება ზღურბლიდან“

მუდმივი დიაკონატი ერთადერთი მოწოდებაა, რომელიც აშკარა აღმავლობას განიცდის ეკლესიაში. მაშინ, როცა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე დიოცეზანელი მღვდლები მხოლოდ 1%-ით თუ გაიზარდა მსოფლიოში, ხოლო ბერები 2%-ით შემცირდა, მუდმივი დიაკონები 20%-ით გაიზარდნენ. დღეს უკვე მსოფლიოში 33 ათასი დიაკონია. 1964 წლიდან, როდესაც ეს უძველესი მსახურება აღდგა, მუდმივი დიაკონების ზრდა ყველა კონტინენტმა განიცადა. მარტო 2000 დან 2005 წლამდე ამერიკაში მისი რიცხვი 18%-ით გაიზარდა, ევროპაში 24 %-ით, ოკეანეთში 27%-ით, აზიაში 10%-ით და აფრიკაში 3,6 %-ით. იმ ფაქტს, რომ მათი რიცხვი ოდნავ ნაკლებია აზიაში და აფრიკაში, – *სადაც სამღვდლო მოწოდებების არნახული ზრდაა სხვა გეოგრაფიულ არეებთან შედარებით*, – თავისი მნიშვნელობა გააჩნია, თუმცა იგი ვერ ახსნის მთელ ამ ფენომენს, რაც ძირითადად უკავშირდება ამ ეკლესიის შიდა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სადაც სადიაკონო მსახურებას სრულიად თავისებური ადგილი უკავია. ნეაპოლში, რომელიც პირველი ეპარქია გახლდათ, სადაც პირველი მუდმივი დიაკონატი დაარსდა და რომელიც დღეს ორასამდე დიაკონს ითვლის თავის რიგებში, ვინჩენცო სანტორო, ოთხი შვილის მამა, ერთ-ერთი ზონის საკრებულოში მსახურობს, რომელსაც მხოლოდ ერთი მღვდელი ჰყავს. მოსწონს როცა თავის თავს ზღურბლის მსახურს უწოდებს. იმეორებს, რომ თავისი თექვსმეტწლიანი დიაკონატის მსახურების მანძილზე მისი პირველადი მოვალეობა იყო ეკლესიის კედლებს გარეთ ევანგელიზაცია.

დავალება, რომელსაც სხვა ვერავინ შეასრულებს ეკლესიის გარეთ, ახალგაზრდების აღზრდა სამართლიანად, სოციალურად, სასკოლო პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა, მოხუცებისა და სნეულების მონახულება და ევქარისტის მიტანა. მილანში, 48 წლის რობერტო კაპიტანი, ოთხი საკუთარი შვილისა და სამი აყვანილის მამა, ხუთი წლის წინ გახდა დიაკონი. მუდმივი დიაკონებისთვის განკუთვნილი სამოქმედო ასპარეზზე ძალზე ფართოა და სწორედ ღომბარდიის მეტროპოლში უწევს იგი დახმარებას კატეხუმენალებს, იღებს და უსმენს მათ, კულტურული ანიმაციიდან საოჯახო პასტორალურ საქმიანობამდე, ასევე საკომუნიკაციო და სამედიცინო დახმარებას. ეს უკანასკნელი სფერო განსაკუთრებით გარიყულია პასტორალური საქმეებიდან მას შემდეგ, რაც მონაზონები უკვე აღარ იმყოფებიან უმრავლეს სახელმწიფო სამედიცინო სტრუქტურებში. ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი ერია, რომელიც მუდმივი დიაკონების ყველაზე მეტ რიცხვს ითვლის – 13 ათასი. ისინი სოციალური და საეკლესიო ცხოვრების ოთხ სფეროში არიან წარმოდგენილნი: კულტურულ-ტრადიციული ურთიერთობები, ოჯახი, ეკუმენიზმი და სოციალური სამართალი; ფაქტობრივად, მუდმივი სამოციქულო მსახურების ყველა სფერო, რომელსაც დიაკონატის „მსახურების“ სათავეებთან მივყავართ, რომლის ეტიმოლოგია „მსახურებას“ მიანიშნებს.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი